

# ვერსიონები

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

4



№ 3      1950



# პიონერები

№ 3 მარტი 1950

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
შთავალთვითი საბავშვო შუროლი

გამომცემლობა  
„კომუნისტი“  
წელიწადი XXIV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



## პირველი ღვაჭუტატი



ხმა მას მივეცი, ვინც საქმით  
ხალხის გულია მგზნებარი,  
ვინც სინამდვილე აქცია  
წინაპართ ნაოცნებარი;

ვინც შთააგონა მშრომელ ხალხს  
გმირობა ჯერ არნახული,  
ვისითაც არის სამშობლო  
მზით სავსე, მზით მოხატული.

ვინც არის ჩვენი ოცნება  
და დროშა აღისფერადი,  
ჩვენი მზე ჩაუქრობელი,  
ჩვენი მამა და ბედადი;

ვინც მშრომელ ხალხთა გულებში  
უქრობ მზესავით ანთია  
ის არის ჩვენი რჩეული,—  
პირველი ღვაჭუტატი!

მისილ ზანგრაჰვილი




4804. 5397



12 მარტი, 1950 წელი—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე...

ამხანაგი **ი. ბ. სტალინი** ხმას აძლევს მოსკოვის ლენინის საარჩევნო ოლქის პირველი საარჩევნო უბნის დარბაზში, სადაც დებუტატობაზე კენჭი იყარეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ს. ი. ვაგილოვმა.  
ფოტო ვ. კოვზოვისა (საქდეს).





# ღამიანობა

თვალციმციმა გოგონები,  
 ენძელების სადარები,  
 შინისაკენ იჩქარიანი  
 ღამაზები, პატარები.  
 მოდიან და კიკვიკებენ,  
 ვით მერცხლები გაზაფხულის.  
 მზია ამბობს:—მასწავლებელს  
 ხომ დაუგდეთ კარგად ყური?  
 — როგორ არა,—უთხრა მეგობ  
 დარბაისელ ქალის სახით,—  
 ხვალ დღე არის არჩენენების  
 და ბერიას ირჩევს ხალხი.  
 ხვალ დიადი ზეიმია,—  
 და ღიმილმა დაჰკრა სახეს,—  
 ხვალ ხმას მისცემს ყველა ერთხმად  
 ქართველ ხალხის სიამაყეს.  
 მაგრამ წელიმ თქვა უეცრად  
 და თვალეები გაუბრწყინდა:  
 — რომ ვართ ასე პატარები,  
 ხმის მიცემა ჩვენ არ გვინდა?  
 მას ბავშვები უფრო უყვარს,  
 ბავშვებისთვის ზრუნავს იგი.  
 ჩვენსკენაა მომართული  
 მისი გული, მისი ფიქრი.  
 და ხვალ ყველა როცა წავა,  
 რომ ხმა მისცეს ჩვენს ბერიას,  
 აირჩევენ ალტაცებით,  
 ტაშით შეეგებებიან,  
 ნუთუ სახლში უნდა ვისხდეთ?..  
 არ დავრჩები, არა, მარტო,

წავალ მათთან, რომ ჩემი ხმა  
 უთვალავ ხმას მივამატო.—  
 მეგობ წყნარად გაიცინა,  
 გადახედა წელის ნებად.  
 — ჯერ შენ ძლიერ პატარა ხარ,  
 არ მოგცემენ მაგის ნებას.  
 ჩემი ძმია ხუთმეტე წლის  
 და ისიც კი სახლში რჩება.  
 შენ თერთმეტი წლისაც არ ხარ  
 და ვინ მოგცემს ხმის უფლებას?  
 მოდიან და საუბრობენ,  
 მოელვარე მარტის მზეა  
 და დობილებს საუბარში  
 ჩააფიქრებს უცებ მზია:  
 — სამჯერ ათი რამდენია?  
 — ოცდაათი,—უთხრეს წამსვე.  
 — მართალია!—მზიას გული  
 სიხარულით ჰქონდა სავსე.  
 — ოცდაათი მეტიც არის,—  
 მის თვალეებში სხივი ელავს,—  
 ვინ დაგვიშლის, ჩვენს ბერიას  
 რომ ერთი ხმა მივცეთ ყველამ!..  
 თვალციმციმა გოგონები,  
 ენძელების სადარები,  
 შინისაკენ იჩქარიანი  
 ღამაზები, პატარები.  
 — პატარებო, მისი ფიქრი  
 თქვენ დაგხარით, თქვენთან არი;  
 გაიზრდებით და ხმას მისცემს  
 თვითთული თქვენთავანი!

პირილ სულაქანი





**ლაზარენტი ბაკია — ქართველი ხალხის სასიძაღულო დეპუტატი**  
სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში

ამხანაგი სტალინი მიგვითითებს, რომ კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სერიოზული ყოველდღიური მუშაობა ცოდნის ასაძაღუბლად.

რაც უფრო წინ მიდის ჩვენი განვითარება კომუნიზმისაკენ, ცხოვრება თვითუღლ ჩვენგანს ახალ-ახალ მოთხოვნებს უყვებებს. ჩვენ განვაგრძობთ ჩვენი მრეწველობის, ჩვენი მშენებლობის, ჩვენი ტრანსპორტის, ჩვენი სოფლის მეურნეობის სულ უფრო და უფრო აღჭურვას, სსრ კავშირის მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე მდგომი ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების აღჭურვას ახალი ტექნიკით. ჩვენ გამოდგებით ვაშუქობესებთ ამ ტექნიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ვისწავლოთ ბოლომდე გამოვიყენოთ ის შესაძლებლობანი, რომლებსაც მეცნიერება და ტექნიკა გვაძლევს.

ცხოვრება ერთ ადგილზე როდი დგას — ყოველ დღეს რაიმე ახალი მოაქვს ჩვენითვის.

„ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, დრომოკუმულსა და ახლად წარმოშობილს შორის — აი ჩვენი განვითარების საფუძველი“, ამბობს ამხანაგი სტალინი. რომ არ ჩამოვრჩეთ, კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში რომ ვიდგეთ, და არა კულში მივჩანჩალებდეთ მოძრაობას, არა მარტო სრულყოფილად რომ დავეუფლოთ ჩვენს საქმეს, არამედ მისი წინ წაწევის უნარიც რომ გვქონდეს. ამისათვის საჭიროა მუდამ ვმუშაობდეთ ჩვენი ცოდნის შესავსებად, ვიმაღლებდეთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ვზრდიდეთ ჩვენს საქმიან თვისებებს.

ნურავინ იფიქრებს, რომ თუ კაცს პასუხსაგები პოსტი უჭირავს, განათლება, სამეცნიერო წოდება ან ხარისხი აქვს, — უკვე ყველაფერი იცის და სწავლა ადარ სჭირდება. სწავლა ყველას სჭირდება — რიგითი კომეურნიდან და მუშაიდან დიდ სახელმწიფო მოღვაწემდე.

**ლ. ბაკია**

## მანანას სიზმარი

მე განთიადს, მზის ამოსვლას დავასწარი,  
დავასწარი გაღვიძება ფრთიან ნიავს,  
გული რეკდა სიხარულით, როგორც ზარი,  
ჩემს უბანში მივირბინე უთენია.

ირგვლივ ენთო სილამაზე გაზაფხულის,  
საზეიმოდ მორაულიყო მთა და ბარი,  
ცაში დროშა ფრიალებდა აღმართული,  
იყო ხალხის ფუსფუსი და საუბარი.

ყვავილები მივიტანე ათასფერი  
და იმ დილით გავიზარდე ასე დიდი,  
საარჩევნო ნათელ ფურცელს, სხვებთან ერთად,  
მეც ვიღებდი, მეც მთრთოლვარე ხელში ვშლიდი.

უჩვეულო აღტაცებით როს ვღელავდი,  
უცებ ჩემს წინ ყველაფერი აეღვარდა:  
ჩემ წინ დადგა ხალხის მამა და ბელადი,  
და ფურცელი გამეფურჩქნა ხელში ვარდად.

დავიბენი, მიცქეროდა ის მზის დარი,  
ვარდიც ველარ მივაწოდე მე—მანანამ,—  
გამეღვიძა, იყო თურმე ეს სიზმარი,  
რომ სიზმარი იყო მხოლოდ, დამენანა.

დავით ნარძია





# ქეთიართმატაქდასადანი

სახელთან მასწავლებელს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დებუტატს  
თამარ მათიაშვილს

ხარობს უკვე გაზაფხული  
იით, მზით და ჩიტებით!  
ჩვენც ხომ ჩვენი გაზაფხულს  
გვეჯერა დაბეჯითებით!

მით უმეტეს უხაროდეს  
ფინც თვრამეტი წლის არი,—  
შვიდი ბიჭი დაგვეჩაგრა,  
შვიდივე ჩვიდმეტის არი.

უხაროდეს!—ვინც მიიღო  
არჩევნების უფლება,  
მეთერთმეტე კლასს ამთავრებს,  
დინჯად გვესაუბრება...

მოღით, ისევ ვეგობრებო,  
შუქი ავაკიაფოთ,  
ვაქცაქების გული რაა—  
გოგონებზე ვიამბობთ...

გუშინ ვნახე, სწორედ გუშინ,  
მკვირცხლად მობაასენი,—  
სამი ქალი, მხოლოდ სამი  
მეთერთმეტე კლასელი!

რუხ კაბებზე უბდებოდათ  
დათოვლილი საყულო...  
მე იმათი გვარიც ვიცო,  
უნდა ჯდავასახელო...

თქვენს რვეულში რომ ეხატა  
გასროლილი ისარი, —  
იქ ვნახე და გამახსენდა:  
ერთი ვგონებ ის არი!

გულის ფიჭვი, გულის სწრაფვა,  
გულის ვეელა იმედი,—  
მზად იყო, რომ გაემხილა  
თვალთ მოცემივეთი!

საფეთქელთან თმაც კი ოღნავ  
მიშოშოლოდა სიოთი,  
სანაპიროს კუთხით ვნახე,  
ხიდზე გადავიდოდი...

მეთერთმეტე კლასელია,—  
მისი წიგნით ვიცანი!  
ემზადება ასაფრენად  
და თვრამეტი წლის არი!

—მე ამ ზაფხულს, — თქვა ღიმილით  
და მტკვარს აღმა ახედა,—  
აღბათ ჩემი გულდა-ნაბღით  
მთაში ავალ აქედან!

კიდევ ბევრი მადნეული  
არის ჩვენთვის საჭირო  
და ვეცდები, მთების გულში  
თვითონ აღმოვაჩინო!

—მე კი თავქვე მტკვარს დავეყვები,  
არ მსურს მთა და სოფელი!  
მე ლუქელთა ცეცხლი მიყვარს  
რკინის გამადნობელი!

— მეც რუსთავეში დამელოდე!—  
თქვა მესამემ ანაზღად  
და სამთავეს სიხარულით  
თვალი აუთამაშდათ...

მე ასეთი საოცარი  
არა გამივია რა,—  
ვაქცაქებად მომჩვენენ,  
გოგონებად კი არა!

ვგრძნობ, იმათთვის არასოდეს  
ცა არ მოიღრუღლება...

ნახეთ როგორ დაიმშვენონ  
არჩევნების უფლება!

ვგრძნობ, ვინაჲრის მათი სწრაფვის  
აგრე გამძაფრებელი...

უსათუოდ უნდა ვნახო  
თამარ მასწავლებელი!



ქარლმ ქალაქმ



მოხბობა

# გურამის სინანული

მოდის, მზიარულად მოხტის გურამი. გული სავეს აქვს სიყვარულით. გურამს ამ წამს ყველაფერი უყვარს, ყველაფერი: მოლივლივე მზის სხივები, ცის ლურჯი გუმბათი, შირის გაფანტული ღრუბლის თეთრი ნაფეთები... მაგრამ ყველაზე ძლიერ დედა უყვარს. — და ბედნიერია, ძლიერ ბედნიერი.

— ჩემო დედა, ჩემო დედიკო, მომაქვს სამუქარი შენს გასახარად. სამი ხუთიანი რომ მივიღე, ეს ხომ შენი ზრუნვისა და ამავის შედეგია, — ფერობს გურამი, და შინისავენ მიეჩქარება.

— გურამ, ჩქარა!... — მოესმა გურამს ეზოში შესვლისთანავე სახლის აივნიდან პატარა გოგონას ხმა. თვითონ გოგონა არა ჩანს. მოაჯირამდე ჯერ ვერ აღწევს. მაგრამ გოგონას მოაჯირის ერთ ქუთრუტანიდან პაწია ხელი გამოუყვია, მეორე ქუთრუტანიდან თვალები გამოუტყებია და გურამს ხელს ქნევით უძახის:

— იცი, გურამ, დედამ რა დაგიზნადა! ყველაფერი დიდ სარკესთან აწყვილა... აბა, მოდი, მოდი! — გამალებით ხელს უწივებს თავის საყვარელ ძმას და სიხარულით ჩიტვით ქიკვილებს პატარა გოგონა.

— აი, შე მოუსვენარო, — გამოვარდა დედა ოთახიდან, — აი გითხარი, ჯერ სურათვერს ვტყუებ-მეთქი. გულმა ვეღარ მოვსცე-

ნა, შე კუდრაქა, შენა! — სიცილით უსაყვედურა დედამ, გოგონას ხელი მოსჭიდა და მოაჯირს მოაცალა.

— პო, გურამ, მართალს გეუბნები... აბა ნახე, ნახე, ისეთი ლამაზი ქუდი, შედ რა-ღაც პრილა აყერი... — კვლავ უყვიობს გოგონა და უყვე ხელჩაქედილი მოპყვება დედას ხტუნვითა და ხარხარით.

გურამს გული აღჩქროლიდა, კიბე სწრაფად აირბინა და ერთ წამს ოთახში გაჩნდა.

გურამს სიხარულით მოუსვენრობა დაეტყუო, მაგრამ წესიერება არ დაურღვევია: ჩანთა თავის ადგილას დასდო, პალტო ლურსმანზე ჩამოაკიდა. ხელების დაბანა ვეღარ მოახსრო, რომ ცელქ გოგონას გურამის ახალი ღერბიანი ქუდი დაეხურა და ხარხარით გურამს მეორე ოთახიდან შემოეჭრა:

— აი, ხომ გითხარი... ხომ გითხარი! დახე, დედამ რა გიყიდა? აბა ახლა იქ ნახე კიდე რეები!

გურამი აიღიანა, გოგონას ქუდი მოხადა, აქეთ-იქით მიატრ-მოატრიალა, თვალები გაუბრწყინდა, როცა თავისი სკოლის ნიშანი დაინახა შედ მიმაგრებული, შემდეგ მეორე ოთახში გავიდა.

— აი, შეილო, ესეც შენი ფორმის ტანი-სამოსი, მშვიდობაში და ბედნიერებაში გაცეითე, ჩემო ბიჭუნა... კარგი და გამგონე შეილო რომ მყავხარ, აი რა მალე შეგისრულ შენი სურვილი. მოდი, გენაცუე, მოდი, ერთი ჩაიცვი და დამენახე, ტანზე როგორ მოგადგება.

სანამ გურამი ახალ ტანისამოსს ჩაიცვამდა, ოჯახის ყველა წევრმა დიდ სარკესთან მოიყარა თავი. პაპაც იქ იყო, გურამის საყვარელი პაპა. ისიც სხებთან ერთად სარკეში აღიშოდა მორთულ-მოკაშპულ შვილოშვილს. გურამი კი იტყვიბოდა სარკეში და ისე დამშვენდა, თავის თავს ვეღარა



სცნობდა. თორმეტი წლის ბიჭი სიხარულს თვალღმის ანკარებულად ხამხამით ხატავდა. დედამ ერთხელ კიდევ მიატრ-მოატრიალა, და გურამმა სარკეში უხომო საყვარულით აქუყუხებულად დედის თვალები რომ დანახა, ვეღარ მოითინა, მოტრიალდა და მდუნობის ნიშნად დედას მხურვალედ გულში ჩაეკონა.

\*\*\*

ეს, რა ბედნიერი დღე დაუღამდა გურამს. გაკეთილები რომ დაამხადა, შთაბეჭდილებით მოქანცულ ბიჭს თითქოს ძილიც წამოეპარა, მაგრამ იმ ღამეს მეტად მოუსვენრად ეძინა. სიზმარიც უცნაური ნახა გურამმა: ვითომ მისი ფორმის ტანისამოსი, ქუდილი და ქაშრით გამოწყობილი, თავის ოთახში, ყარგი ვაქაკივით დაბიჯებდა. დადის, წინ და უკან ბოლოთასა სცემს, სწორედ იმ მანერით, როგორც მათი პატივცემული დამრიგებელი, მაგრამ არც ფეხები უჩანს, არც ხელები და არც ცხვირ-პირი. ცოტა ხნის შემდეგ ამ უცნაურმა არსებამ სიარული შეანგა, გურამის საწოლთან შეჩერდა და ეუბნება:

„ხომ ნახე გურამ, ამ ტანისამოსში როგორ დამშენდი? გასოვს, რა სიამაყე იგრძენ. სარკეში რომ ჩაიხედე. თითქოს დიდი გახდიო... ასე არ იყო, გურამ? ჰოდა, აბა შენ იცი როგორ ფაქნად მიატარებ... შეხე-

დე ახალ ქაშარსა და პრილა ღერბსა... ლეკბნა...  
 ზედ შენი სასწავლებლის სახელი ადბეკ-  
 დილი და იცოდე, გურამ... ხელი ზეით  
 ასწია მოზაასე ტანისამოსსა, თითქოს თი-  
 თიც დაუქნია და მტკიცედ განაგძიო:

„ჰოდა, წესიერი მოსწავლის და შენი სკოლის სახელი არამც და არამც არ შე-  
 ლახო. შენ გველემა მაგალითი იყო არა  
 მარტო შენი კლასის ამხანაგებისა, არამედ  
 მთელი სკოლისა, რადგან ეს შესაძლებე-  
 ლია და...“

გურამს უყვირს—რად დასჭირდა ამ უც-  
 ხო მოჩვენებას ამგვარი ლაპარაკი, როცა  
 ის მუდამ წესიერი და ფაქიზია...

გურამი გაბრაზდა. სწრაფად ზეზე წა-  
 მოიწია, უნდა რომ პასუხი გასცეს. მაგრამ  
 მოჩვენება უცებ გაქრა... გურამმა თვალე-  
 ბი გამოაყუცა. მზეც ის იყო ამოსულიყო  
 და სიცილით შემოსცვიროდა გურამს.

გურამი ადგა, პირი დაიბანა, ახალი ტა-  
 ნისამოსი ჩაიცვა და საცქეში ჩაიხედა, სიზ-  
 მრის გახსენებაზე სიცილი აუტყდა.

— გურამ, გურამ!...—შემოესმა ამ დროს  
 მისი ერთ-ერთი ამხანაგის, ზურაბის ხმა.

გურამს გული სხვანაირად შეუთამაშდა,  
 და სარკეს უქაყოფილო სახით ჩამოშორ-  
 და. ბავშვს ძლიერ უქმინდა ასეთი გამოკო-  
 ნტავებული სჩვენებოდა იმ ამხანაგს, რო-  
 მელსაც ჯერ არ შეუძენია ახალი ფორ-  
 მის ტანისამოსი. გრძნობდა, რომ ამხა-  
 ნაგს გული უნებურად ეტკივნებოდა.  
 თუმცა იმისი უფრო ეშინოდა, რომ  
 დაუწყნარებელი ზურაბის ოხუნჯობას  
 არ ასცდებოდა და შეეყოყმანდა. მაგრამ  
 მეტი ღონე არ იყო, უკვე ცხრისახვევარ  
 ის სრულდებოდა და დაგვიანება აღარ  
 შეიძლებოდა.

— ოხ, ოხ, ოხ! ეს სულ შენა ხარ, ბი-  
 ქო?—შეასწრო თვალი თუ არა ზურაბმა,  
 შორიდანვე შესძახა და ხელად კიბეს-  
 თან მოეჭრა. ჯარისკაცივით მარჯვენა  
 ხელი ქუდიდან სწრაფად მიიტანა და  
 გაიძაგრა. მოლიძარი თვალებით გვერდ-  
 გვერდ იცქირება ზურაბი და თან  
 ტუჩებს იყენეტს, რომ როგორმე სა-  
 ხეს მეტი სერიოზულობა მისცეს, მაგ-  
 რამ სახე ისე სასაცილოდ მოებრცა  
 ბიჭს, რომ გურამს სიცილი აუტყდა,  
 თან მეტი უხერხულობისაგან წამოწით-  
 ლებულმა, ზურაბს გვერდი აუქცია და  
 უსიტყვოდ დაწინაურდა. ზურაბი ლა-  
 პარაკით უკან აედევნა.



— ხუმრობავსვებით, ბიჭო, და იცი მართლა ეს ფორმა როგორ ვიხედება?! ახლა ისეთი სახით ვამოაყურებდი, თითქოს დიდი ბობოლა ვიხედე იყო.

ამ ლაპარაკით პაეშვეები თავიანთ ქუჩას გასცდნენ და დიდ ქუჩაზე გამოვიდნენ. აჲ უფრო მეტი ხალხი იგრობდნენ. ისეთი მზიარული მოძრაობა და ხმაურობა იდგა სკოლებში მიმავალი მოწაფეებისა. ზოგი ქვემოდ მიდიოდა, სხვები ზემოთვე მიეჩქარებოდნენ და ისე აქიციებულყვნენ, როგორც იმ ლამაზ დილით ირველოვ ფრინველები ქიციებდნენ.

მრავალ მათგანს ფორმის ტანისამოსი ეცვა და, თავიანთი სკოლის პატრონებზე, ცდილობდნენ წესი არ დაერღვიათ.

გურამმა და ზურაბმა დიდი ქუჩიდან ახლა ქადრებჩარჩებულ ქუჩისაკენ შეუხვიეს და საცაა სკოლას თუქახლოვდებოდას. ამ დროს მხარმარცხნივ ტროტუარზე ზურაბმა პატარა, თეთრ ლამაზ ძაღლს მოჰკრა თვალი. კუდგაბურძგენილ ძაღლს პირით რაღაც მოჰქონდა და გახარებული სასაცილოდ მოცუნცულებდა. პატრონი კი წიგნებით ძაღლს უკან ამაყად მოსდევდა.

ზურაბი თვალის დახამამებზე ძაღლთან გაჩნდა, დაიკუზა და დასაქერად ძაღლს ხელი წაავლო. ძაღლი შეშინდა, შეკრული დაადგო და კუდამოშუებული გვერდზე გახტა. გაბრაზებული პატრონი უტყებ რომ მოვარდა, ძაღლს გული მიეცა, სამინელი ყუფა ატეზა და ზურაბის ფეხებთან იერიში მიიტანა.

— შენ, ეი, ჩემს ძაღლთან რა გესაქმება! — შეუტია პატრონმა ზურაბს და მამლაყინ-წყსავით აფხორილი ჯიქტად წინ აესვტა.

— ოჰო, ძაღლი გაპარსე და პატრონი გამოუჩნდებოი, ეს შენ ხარ, ბიჭო?!—დამცინავი კილოთი ჰკითხა ზურაბმა და გაბრაზებულ ბიჭს დიმილით თვალბეჭში ჩახვტა.

ბაეშვს უფრო გული მოუვიდა, ხელები შეკუმშა და უქმებულ უთხრა:

— მი ვინცა ვარ, გაჩვენებ, თუ ახლავე შენი გზით არ წახვალა!—თან უფრო აიფხორა და ნაბიჯით კიდევ წინ წაიწია. ძაღლმა რომ თვალს მოჰკრა, — ჩემი პატრონი იერიშზე გადავიდაო — ისიც იმ წამსვე თვსში ეძგერა ზურაბს და შარვლას ტოტზე მბოლებით დაეკონწიალა.

ზურაბმა ფეხი ღონიერად გაიქნია, ძაღლს მოსლო და ტროტუარიდან ქვაფენილზე ყიჩაყიჩა გადააკოტრიოდა.

ახლა კი ეძგერნენ ბიჭები ერთმანეთს. ეს ამბავი ვინ იცის. რით დამთავრდებოდა, გურამი დროზე რომ არ მოშველებოდა და



წაძიგინებულ ბიჭებს შუა რომ არ შეჩრილიყო!

— რას შერები, ზურაბ! არა გრცხვენია? შენ ტყუი და ქუჩაში კრივსაც მართავ?—ამ სიტყვებით გურამი მკლავში წასწვდა და მოწინააღმდეგეს ჩამოაშორა. ზურაბმა განწვი გაიწია, ხელიდან გასხლტა უნდოდა, მაგრამ გურამს რაყი მაგრა ეჭირა, გაჯავრებულმა ბიჭმა გურამს უქმებულ შეუტახა:

— გამიშვი-მეთქი, რა შენი საქმეა, თუ სკოლაში გეჩქარება—აგერ გზა!

— ეს არ შეშვენის პიონერს! —

— გამიშვი-მეთქი, გეუბნები, თორემ არ ვიცი რას ვიზამ!—უთრესად გაბოროტდა ზურაბი და ღონიერად გაიწია.

ძაღლის პატრონმა ბიჭმა რომ დაინახა, ახლა ამით ჩემთვის არა სცალიათო,—ძირს დავდებულ ჩანთას ხელი დასტავა და მოპკურცხლა, ძაღლიც მას მიჰყვა ცუნცუნლით.

ზურაბმა გაქცეულ ბიჭს თვალი რომ მოჰკრა—გურამზე იყარა ჯავრის ერთი მავრად შეაჯავღუნა და მერე ხელი ჰკრა, ხოლო თითონ კი, განთავისუფლებულმა, სკოლისაკენ გასწია. გურამი წაბოტმანდა, გვერდზე გადაიხნიჭა, მაგრამ დროზე ხელი მოიშველა და ძირს არ დაქცეულა. სამაგიეროდ მიწაზე დაგდებულ მჩხვლეტავი მავთულის ნაწყვეტს დაჰკრა ხელი. მავთული ხელის გულში შეერქო. გურამი წამოდა, მავთული გამოიძრო და ამოჩქვილ სისხლს ცხვირსახოცი მიასველა. ზურაბმა ცოტა მანძილი რომ გაიარა, გულმა ვერ მოუთმინა და უკან მოიხედა. გურამი რომ ხელს იხვევდა, თითქოს შერცხვა, მაგრამ... ამხედრებულ სინდისი ასე დაამშვიდა: „რა ჩემი ბრალია, იმისი პატარა ხომ არ ვიყავი, რომ ხელს მიჰკერდა!“

გურამმა ხელის ტყვილი არაფრად ჩასთვალა, სისხლი მოიწმინდა, ტანისამოსი შეისწორა და სკოლისაკენ გაქანდა. გურამი ვაჯავრებული იყო, მაგრამ სკოლის ეზოში ისეთი მშვეილი სახით შევიდა, თითქოს არაფერი შემთხვეოდა.

ახალი ტანისამოსის დანახვაზე ბავშვები მას თავისებურად გამოეხმაურნენ, მაგრამ გურამს წარბი არ შეუხრია, ხელად აირბინა დერეფანი, თავის ქლასში შევიდა, წიგნები მერხზე დააწყო და დერეფნის კარებთან გაჩერდა. ზარი სულ მალე დაირკვა, ქლასში შემსვლელი ბავშვების ხმაური ნელ-ნელა შეჩერდა.

ზურაბმა თავი დაღუნა და ქლასში ისე შევიდა, გურამს არც აარწმობინა, რომ დამნაშავედ სთვლიდა თავს. გულში კი სინანული უკვე შეტოცებოდა და ნელ-ნელა უფხავტუნებდა.

არც გურამს აუღია თავი. ახალ ტანსაცმელში გამოწყობილ ბავშვს ამხანაგები ღიმილით და ფართოდ გახეილი თვალებით აცქერდიობდნენ, ყველას მოსწონდა ეს ფაქიზი ბიჭი.

ქლასში სულ ბოლოს გურამი შევიდა. მორიგე ფანჯრები დახურა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა. აქა-იქ მხოლოდ წიგნების ფურცლები შრიალებდნენ.

უცქირის ზურაბი მხარმარცხნივ მერხზე მჯდომ გურამს და ამჩნევს, რომ ბიჭი ვაჟოთარებოლი ზის. ზოგჯერ შეხვეულ ხელს ზევით სწივს რა მასწავლებელს თვალებს წუთით არ ამორებს.

„მგონი სტკივი, ალბად ცუდად დავცა“, — ფიქრობს ზურაბი. მაგრამ ავრ გურამის ნათქვამ სიტყვებს მოჰკრა ყური: — წივი-ჩივი და მავთოლო შემერპო ხელშიო. ახლა კი შოწონდა ზურაბი, — რაგომ ვაწყენინე ასეთ კარგ ამხანაგსო. მოელო იღვ სინანულში დაღამა ზურაბმა.

მორე დღის გურამი ქლასში არ მოსულა. მესამე დღეს ზურაბმა ცუდ ამბავს მოჰკრა ყური: გურამს ხელი გაუსციდა და დიდი სიციხე მისცაო.

ზურაბის გულს მახვილივით მოხვდა ეს ამბავი. ასეთი უწყინარი და საყვარელი ამხანაგი მისმა უგუნურმა საქციელმა განსაცდელში ჩაავლო. ვაკვეთილების შემდეგ რამდენიმე მოსწავლე გურამის სანახავად წავიდა. გულჩათხრობილი ზურაბი შეუშინებულად უკან აედგნა.

— ახ, ნეტავი მალე მორჩეს... ეს რა მთხვევია! — ბუტბუტებს ზურაბი და გურამის სახლის შორიანო ტრიბუნებს. თითქოს შედავთს გრძნობს მასთან ახლოს რომ არის, მის ფანჯარას რომ შესვლურის...

მიელი დღე და დამე მოუსვენრად გაატარა ზურაბმა. მეოთხე დღეს უხალისო, ჯავრისავან ფერმკრთალი ბავშვი მოვიდა სკოლაში, ყველამ შეამჩნია, რომ ცელქი ზურაბი მოწყენილი ზის და კრინტს არა ძრავს.

„რაღაც უშეიფოვო ვერძობ თავსო“ — უკასუხებდა ზურაბი ამხანაგების შეკითხვას. გული კი ისეთი აბოზოტრებული ჰქონდა, ისე ვანიცდიდა გურამის ავადმყოფობას, რომ მშად იყო ხმამაღლა დავყვირა: „ეს მე ჩავიდანე, ყველაფერი ჩემი ბრალია და რატომ ყველამ არ იცის ეს ამბავიო“.

მეხთვდ დღეს უფრო შემამფოთებელი ამბავი გაგრცოლდა: გურამი ძლიერ ცუდად შეიჭნა და დღეს ორ საათზე საავადმყოფოში საოპერაციოდ უნდა წაყვანონო.

როგორ გავიდა საათები, როგორ გათვდა ვაკვეთილები, ზურაბს თითქოს არ გაუგია, სამინელ ბურანში იყო ფე.

ვაკვეთილების შემდეგ ბიჭი სახლში მივიდა, დედას უთხრა:

— ავადმყოფი ამხანაგის სანახავად მივდივარ და თუ ცოტა შემიფვიანდა — ნუ შეგეშინდებო.

საკმელს არ მიჰკარებია.

— მენჭარება და როცა მოვალ, მამინ ვისადილებო. — უთხრა და იმ საავადმყოფოში გაიქცა, სადაც გურამი უნდა მიეყვანათ.



საავადმყოფოს ეზოში ვერც ერთი ამხანაგი ვერ დაინახა. დაიბნა ზურაბი. ჭირურ-გაუთლი განყოფილება იყოთხა და შესასვლელი კარის შორიახლო გაჩნდა. ზურაბმა თვითონაც არ იცოდა აქ რად მოვიდა. ან აქ მოსვლით რას უშველიდა. აღელვებულ ბავშვს ეგონა, რომ ვნახავ, იქნებ ვუღლებ მომეგვოს.

ღვას ბიჭი მოუსვენრად, ხან აქეთ მიტრიალდება, ხან იქით, ყოველი ავტომატების გრიალი გულს უარესად უფორიაქებს, ფერი მისდის, მაგრამ არაფერს ხანს. ბოლოს რომ ვეღარ მოითმინა, საავადმყოფოდან გამოვიდა და გურამის სახლისაკენ გაიქცა.

საღამომდე გურამის კარმიდამოს წინ იწრიალა, ხეებს ეფარებოდა არაფერს დამინახოსო.

რაკი ზურაბმა გული დაარწმუნა, რომ ავადმყოფი არსად წაუტყვანიათო, რაღაც იმი-დი მოვიდა. ზურაბი სულ ღია ფანჯარაში იცქირებოდა — ოთახში ელექტრონის შუქზე ზოგჯერ აღამიანთა სილუეტები გამოჩნდებოდა.

აგერ, ახლა ფანჯარას ვილაც ქალი მოად-გა. ზურაბმა მაშინვე შეიცვინო გურამის ღეღა. მაგრამ ნეტა არ დაენახა! ქალმა თვალგზზე ხელსახოცი მიიფარა და ისევ მალე შეტრიალდა.

— ვაიმე, ტირის! — წამოიგმინა ზურაბმა და სიმწარით პირი გაუშრა.

ზურაბმა ახლა კი მოთმინება დაკარგა, რაღაცა უნდა გააკეთოს, ვილაცს უნდა

ჰკითხოს, თორემ გული გაუსვდება, თუ ახ-ლავე სიმაბოლო არ გაიგო.

შუკე ღამე იყო, აღმოსავლეთით საესე მთვარე ამოსულყო და თბილისს თავზე წამოსდგამოდა.

კბეზე ვილაცის ფეხის ხმა გაისმა. ვილაც მოიღოდა.

— მას ვკითხავ, თორემ გაგვივლებდი! — გაიფიქრა ზურაბმა, კიდეც მოუახლოვდა და უცბა შედგა. იცინო ვინც იყო.


— პატრეცემული მასწავლებელი, — სასო-წარკვეთილი ხმით წამოიძახა ზურაბმა, კვე-მოდ ჩამოსულ ქალს წინ გადაუდგა და შე-შინებულთ თვალეზით შეხიდა.

ზურაბ, შენა ხარ? — მაშინვე მიუხვდა მასწავლებელი ბავშვს სკლისკვეთებას, რო-ცა თვალეზში ჩახვდა და წამსვე კარგი ამბავი ღიმილით მიავიდა: — შენი ამხანაგი ახ-ლა კარგად არის! საავადმყოფოში წაყვანაც არ დასჭირდა.

ზურაბი სიხარულისაგან შეტოკდა, ერთი ნაბიჯიც გადადგა, მასწავლებელს კიდევე უფრო მიუახლოვდა, მერე თავი მიმოდ და-სხარა და შევებით აქვითინდა.

\*\*\*

ნახეარი საათის შემდეგ ბედნიერი ზურა-ბი თავისი სახლის ღია ფანჯარასთან დედა-სა და მასწავლებელს შუა იჯდა და თავ-დახრილი, დარცხენილი ღიმილით გულახ-დილად ყვებოდა გურამისთან მის მიერ ჩა-დენილ დასაგმობ საქციელს.



# დ ე ღ ა

სიტყვა „დღა“ მეტად ტკბილი  
სანუკვარი სახელია,  
მისგან ვიცით ავი, კარგი,  
მისგან თვალი აგვხელია.

მან გვაწოვა ჩვილებს ძუძუ  
და პირველად გვითხრა ნანა,  
მან საშობლო შეგვაყვარა,  
შეგვაყვარა ეს ქვეყანა.

გვიყვარს მამა, გვიყვარს დღა —  
მათგან თვალი აგვხელია,  
მაგრამ „დღა“ მეტად ტკბილი  
სანუკვარი სახელია.

ღა, როდესაც გავიზრდებით —  
მზრუნველ დედას გაეახარებთ,  
ჩვენი სწავლით, ჩვენი შრომით  
ვასახელებთ მშობელ მხარეს.

პალე ბოზოხიქა



## რუსეთი—ტრაქტორის სამშობლო

1880 წელს გაზეთ „სარატოვსკაია ლეტო-  
პისში“ დაიბეჭდა საინტერესო ცნობა ქა-  
ლაქ კოლსკიდან: „დეკემბრის ოცდაათი.  
თვითსწავლული მექანიკოსის ბლინოვის  
მიერ გამოგონებული ჯაჭვისნაირი უსასრუ-  
ლო რელსებიანი მოძრავე მანქანის საჯარო  
გამოცდა“.

ამ მანქანამ გააკვირვა ქალქის მცხოვრებ-  
ლები. მანქანა იძვროდა არა თვლებზე, არა-  
მედ ჯაჭვზე, რომელიც ტრიალებდა ვორ-  
გოლაქებზე. მანქანა ადვილად გადაბობდა  
ჭაობზე და გაკაფული ტყის ჯირკვებზე. ეს  
იყო მთელ მსოფლიოში პირველი მუხლუხა  
ტრაქტორი, რომელიც გააკეთა ვოლგელმა  
გლეხმა თედორე ბლინოვმა. ბლინოვს თავი-  
სი გამოგონებით სურდა გლეხის მძიმე შრო-  
მის შემსუბუქება. თავისი „თვითმაგალი“,  
როგორც ბლინოვმა უწოდა თავის მანქანას,

მან მიიტანა სრულიად რუსეთის გამოფენა-  
ზე ნიჟნი-ნოვგოროდში (ახლა ქ. გორკი).  
გამოფენის კომისიამ ბლინოვს ბრინჯაოს  
მედალი მიაკუთვნა, მაგრამ მანქანა „ფუტ-  
ქმნილებად“ ცნო. ბლინოვის მანქანა მეფის  
რუსეთმა დაივიწყა.

ოცდაათზე მეტი წლის შემდეგ სახელ-  
ლობრ 1912 წელს, ამერიკის ფირმამ „ხოლ-  
ტმა“, რომელმაც გამოუშვა თავისი პირვე-  
ლი მუხლუხა ტრაქტორი, მუხლუხა ტრაქ-  
ტორის გამოგონების პირველობა მისა-  
კუთრა.

მაგრამ საბუთთა ხალხმა იცის, რომ რუსე-  
თი — ტრაქტორის სამშობლოა და ამაყობს  
იმით, რომ ამყამად ჩვენს ქვეყანაში მზად-  
დება ყველაზე უფრო სრულყოფილი ტრაქ-  
ტორები.

ბ. კახნიძე

# უფროსი

## პიონერსელმძღვანელი

ეს დიდი, ნათელ-მზიანი დარბაზი სკოლის მეორე სართულზეა. იგი სანუქრად მიიღეს სოხუმის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის პიონერებმა. ამ ვრცელი დარბაზის კედლებზე თითქმის ვერ ნახავთ ცარიელ ადგილს — იგი მოფენილია ნიჭიერი ბავშვების ნამუშევრებით — ნახატებით, ნახაზებით, პლაკატებით, სანიმუშო კედლის გაზეთებით, ხელსაქმის იშვიათი ნიმუშებით. დარბაზშივე ნახავთ ბიუსტებს, ქანდაკებებს, ნაძირებს, მოდელებს, პლანერებს; უყურებ ზოგიერთ ნამუშევარს და გეუბნება — ნუთუ ეს ბავშვებმა გააკეთეს? და უხეზლიედ ეკითხები ზოგიერთ მათგანზე უფროს პიონერსელმძღვანელს ადელაიდა სიხარულიძეს: „ეს კი უთუოდ შექმნილი გეჭნებათ მალაზიიდან!“ პასუხად იგი კმაყოფილებით იღიმება, რომ მისი პიონერის ნამუშევარი ასეთ შემს იწვევს.

აქ ძალუმაღ სჩქეფს პიონერული მოღვაწეობა. უცხო, მიუჩვეველ თვალსა და ყურს შეიძლება ეხანუშოს კედელ გვერდებზე მდებარე თვისსუფალ წუთებში მრავალრიცხოვანი, სიცოცხლით სავსე, დაუცხრომელი ბავშვების ეს საქმიანი მოძრაობა და ყრიაშული. მაგრამ ადელაიდა მათ შორის თავს ისე გრძნობს, როგორც მოსიყვარულე დედა თავის საალერსო შვილებს შორის.

ის თვითონ იყო პიონერი. პიონერული მოღვაწეობა მისი საყვარელი საქმიანობაა. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ამ სკოლის პიონერების ნამდვილი სულიერი დედაა, ხუთი წელია მათი გულითადი მეგობარი და შესანიშნავი აღმზრდელია. სათნო, სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე კომკავშირული პედაგოგი უყვართ ბავშვებს. ამიტომაც მილიან პიონერები ადელაიდასთან პატივისცემით, მაგრამ თამამად, ლიბდასთან მას თავიანთი სიხარული რათა გაუზიარონ მას თავიანთი სიხარული თუ დღონება, სთხოვონ რჩევა-დარიგება.

ამერ, ერთი მრავალთავანი, შეგვერდმანი ბიჭუნა იოლე ივანიშვილი პიონერული ყელსახვევით, მკერდზე პიონერული ნიშნით. იგი უსასოვანება ადელაიდას, მკვირცხლად აძლევს მას სალამს.

— პატივეცემლო უფროსო პიონერსელმძღვანელო, — მიმართა მან ადელაიდას, რომელიც ღმილით და ადერსით ორნა დაიმელოც მის ყურთან, — დღეს რაზმის შეკრებაზე ტომას გ—ს საკითხი უნდა განვიხილოთ. გან გუშინ მეორე ცული ნიშანი მიიღო.



ადელაიდა სიხარულიძე

ადელაიდა დაფიქრდა: მას უმაღ მოავანდა თავიანთი, მორცხვი ბიჭუნა ტომას გ—ი. „მართალია მას, რატომღაც, სხვაზე უფრო უძნელდება არითმეტიკა, და ეს მეორე ცული ნიშანი უკვე დამაფიქრებელია. მაგრამ რამდენად შედეგანი იქნება მისი საკითხის გამოტანა დღეს რაზმის შეკრებაზე? ოცდათხუთმეტი წყვილი თვალი მიაჩერდება მას, ახლა უკვე მსჯელობის ობიექტს, მორცხვი ტომასს.“

— არა, — მტკიცედ წარმოსთქვა ადელაიდამ, თითქოს იპოვა რთული ამოცანის გადაწყვეტაო და პიონერს თვალეზი ჩააცქერდა. — არ გამოიტანთ ტომასის საკითხს რაზმის შეკრებაზე. რგოლის წევრები შეყრბიეთ — უმჯობესია ჯერ რგოლის წევრებმა ისაუბრონ მასთან, ელაპარაკონ გულობილად, ამხანაგურად.

ოლეგს სახე გაუბრწყინდა — გავხარდა, რომ მის კეთილ ამხანაგზე ასე ზრუნავს უფროსი პიონერსელმძღვანელი. „ნეტავ ტომასიც ჩემსავით ხუთოსანი გახდეს!“ — ინატრა ოლეგმა.

რგოლის შეკრებას განგებ არ დაესწრო უფროსი პიონერსელმძღვანელი — არ უნდოდა „დაერღია“ რგოლის შეკრების შეგობრულობა, ბუნებრივობა. დე, თვითონ, მოუბრუნებლად ილაპარაკონ პიონერებმა, თავისუფლად იმსჯელონ ამხანაგის შესახებ.

— ჩემო ტომას, შენ ერთი შეხედვით, ყურადღებით უსმენ მასწავლებელს, — დაიწყო საუბარი მეორე დღეს ბავშვთან უფროსმა პიონერსელმძღვანელმა, რომელმაც

დაწერილებით გაიგო ჩგოლის შეკრების შედეგები, — მაგრამ მარტო ის როდი ეპარა, რომ მასწავლებელს სახეში უტყვირო; როცა მასწავლებელს გაკვეთილის ასნის დროს უსმენ, ყველა სხვა ფიქრი უნდა მოიშორო გონებიდან, დაბაბო შენი ყურადღება, არ გამოგრჩეს მასწავლებლის არცერთი წინადადება, — ღრმად ჩასწვდე ახსნილს, ხოლო თუ რამე გაუგებარი იქნება, — შეეკითხო მასწავლებელს. იგი ავისნისს, განვანძობარს. ახლა კი ნუ დაღობდი, — ალერსით მიმართა მერე მან ტომასს, — დაგხმარებით, გამოგასწორებთ.

უფროსი პიონერხელმძღვანელის რჩევით რგოლის წევრმა პიონერებმა: სტანისლავ ზავადნოვი, სტანისლავ ტანიამ და ტომას გ—ი ერთად იწყეს რთულ გაკვეთილების დამზადება მათი ხუთოსანი მეგობრის ოლეგ ივანაშვილის დახმარებით. ისინი ხშირად გააკვირვებულ საათებში იკრიბებოდნენ ოლეგის ბინაზე, დროს უქმად არ ჰკარგავდნენ, საყოფიერად მეცადინეობდნენ.

ტომას გ—ს გამხიარულება დაეტყო, მან ერთ მშვენიერ დღეს ოთხიანიც კი მიიღო არითმეტიკაში. ახლა, იგი ხელმოკრედ ჩაება თანაჯარულ ფეხბურთელთა გუნდში. მეგობრებმა მას შეკარგობა დაავსრეს.

როდესაც შეატყო უფროსმა პიონერხელმძღვანელმა, რომ ახლა უკვე დამოუკიდებლად შეუძლია ტომას გ—ს გაკვეთილების დამზადება, — უჩრია მას უკვე დაუხმარებლად გამოეყვანა მავალთაები.

— ჩვეულებად არ უნდა გაიხადოთ კოლექტიური მეცადინეობა, — უთხრა მან ოლეგის მეგობარ პიონერებს, — შემდეგში გაგძნეულდებათ გაკვეთილების დამოუკიდებლად მომზადება.

ტომას გ—ი ახლა დამოუკიდებლად მეცადინეობს და კარგ შედეგებსაც აღწევს.

მესამეკლასელ პიონერს ოთარ წ—ს პირველ მეოთხედში სამ საფაში გამოჰყვა „სამიანი“.

„ბავშვი ნიჭიერი, არც თუ ზარმაცი და ცუდლუბი, მამ რამია საქმე“ — და აღელვადამ გამოიძახა ბიჭუნა პიონერთა ოთახში, გამოჰკითხა ჩამორჩენის მიზეზი. გამოირკვა, რომ ბავშვს დღის რეჟიმი არ ჰქონია შედგენილი, მოსამსახურე მშობლებიც სისტემატურად ვერ აკონტროლებდნენ ბავშვის მეცადინეობას.

აღელვდა ბავშვს სახლშიც ეწვია, შემდეგ, მასწავლებლებთან ერთად, დღის რეჟიმე შეადგენინა მას, და კონტროლსაც უწევდა შესრულებას. ახლა ოთარი ხუთოსანი.

მოწინავე უფროსი პიონერხელმძღვანელი, კომკავშირის აღზრდილი ახალგაზრდა მეღაგვი ადელაიდა სისარულიძე ბევრ რამ საყურადღებოს ჰყვება თავისი ხუთი წლის მუშაობის გამოცდილებიდან:

პიონერის, მოსწავლის დატუქსება სუსტა ნიშნის მიღების ზამო ყოველთვის როდი იძლევა დადებით შედეგს. მთავარია მასში აღუზარდოთ იმის შეგებება, რომ ოთახებზე და ნუთებზე სწავლა მისი უპირველესი მოვალეობაა სამშობლოს წინაშე.

როცა რაზმში ცოცხალი, საინტერესო მუშაობაა გაჩაღებული, ბავშვებიც მასში საერთო ინტერესით ცხოვრობენ, იზრდება მათი მეგობრული გრძნობა, კოლექტივიზმის სულსკვეთობა. დიდ ეფექტს ახდენს ცუდოსან მოსწავლეზე რაზმის წევრთა ამხანაგური რჩევა-დარიცება, ამხანაგური „მამსჯარო“ რაზმის თვითუღმად შეკრებამ უნდა გააღვიძოს პიონერებში სიმწიფეების გაღალახვისა და უკეთ სწავლისაღმა მისწრაფება; ჩვენთან კარგი შედეგი მოიტანა შეკრებებზე კლასის ხელმძღვანელთა საინტერესო გამოსვლებმა თემებზე — თუ როგორ შეუძოვრად სწავლობდნენ სიჭაბუკეში მარქსს, ენგელსს, ლენინს, სტალინს. ინტერესით უსმენენ პიონერები ხუთოსნების საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ შეადგინეს მათ დღის რეჟიმი, და როგორ იცავენ მას, როგორ სწავლობენ გაკვეთილს.

ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს ემსახურება მოწინავე უფროსი პიონერხელმძღვანელი ადელაიდა სისარულიძე.

დ. ლოლაძე



საბჭოთა კავშირის გმირი ი. იოსელიანი სკოლის პიონერთან.

# ძველი კაპიციანის თავგადასავალი



## ზურაბ რამიშვილი

მთხრობა

ნახ. ა. ბანძელაძისა

ვაზაფხულის მშვენიერი, თბილი, მზიანი დღე იყო. სასწავლებლიდან დაბრუნებული ბავშვები ეზოში ბურთს თამაშობდნენ. უცბად ცეცხლი მერაბი შუა ეზოში მამალივით აიფხორა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰყვია:

— ბავშვებო, რომ იჯოდეთ რა ვიბოვენ, რა ვიბოვენ!—და ბავშვებმაც თვალის დახამხამებზე მერაბის ვარშემო მოიყარეს თავი. ნაზონი ნივთი ხელიდან ხელში გადადიოდა და ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდნენ.

თამაზმა, რომელიც ყველაზე უფროსი იყო, ასე განუმარტა ბავშვებს:

— ბავშვებო, ეს ძველი კაპიციანია, რომელსაც აქამად ჩვეთვის მნიშვნელობა დაკარგული აქვს.

— მამ, მომეცი აქ. როგორც ვიბოვე; ისევე მე თვითონ ჩაუქმებებ მნელ ზევში, რომ ედარავენ ვერ იბოვოს.

ცელქმა მერაბმა თამაზს ხელიდან სწრაფად გამოსტაცა კაპიციანი, და ის იყო გადასასროლად შოთხარჯეა, რომ ამ დროს ძველი კაპიციანი მერაბის ხელში საცოდავად აწირინდა:

— შე... მი... ბრა... ლეთ... ბავ... შეე... ბო... ნუ გადამაგდებთ, მაქარეთ, რაც აქეთ-იქით ვეთრე, რაც მიწაში და მტვერში ვეგდე. სამაგიეროდ მოგიყვებით ჩემს თავგადასავალს, ძველ ამბებს, და ვიცო, ძალიან კმაყოფილიც დარჩებით...

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველას მოეწონა ძველი კაპიციანის წინადადება და სურვილი მიუსრულეს: კაპიციანი ხევში აღარ გადავადეს. გაწმინდეს, გაასუფთავეს და შევიღ-ხივილით სახლისაკენ გააქანეს. წამოასკუბეს საწერ მაგიდაზე. ყველანი წინ ჩამოიყარნენ. გაჯატოვებით თვალეზში შეს-

ცქეროდნენ და გულის ფანჯალთ სმენად ვადაიქცნენ.

ძველმა კაპიციანმა დაიწყო თავისი თავგადასავალი:

— მე, დავიბადე 1900 წელს ქ. პეტერბურგში (ახლანდელი ლენინგრადი). სახელად დამარტვეს კაპიციანი, რაც ზედვე დამაწერეს და ვეცხებრთელა საიფულე ყუთში ჩამიძახეს...

მე, თუმცა ფულეში ყველაზე პატარა ვარ და ღარიბი, მაგრამ მესხიერებით — მდიდარი ვარ. თვალის და გონების გამჭირახობა ისეთი მაქვს, რომ ვუვიკვირდებთა. ნახული და ყურმოკრული ისე იბეჭდება ჩემში, როგორც ასოები წიგნებში.

— მოგვიყვი, მოგვიყვი, ვისმენთ ყველანი,—შესძახეს ერთმანად ბავშვებმა და უფრო ახლოს მიჩოჩნდნენ. კაპიციანმა ღრმად ამოიხორხრა და განაგრძო:

— ფულეში მე ყველაზე პატარა ვიყავ. ჩემით არავენ გამდიდრებულა, და არც გაღარიბებულა. მაგრამ არ დაგავწყყდეთ, ბავშვებო, რომ ყოველი შუარხანი, აბაზიანი, მანეთიანი და სხვა დიდი ფული ჩემსთანა კაპიციანებისაგან შესდგებოდნენ. თუ რომელიმეს ერთი ჩემსთანა დააკლდებოდა, მისი მთლიანობა და მნიშვნელობაც იკარგებოდა. მთუნედავად ამისა, მე მიხიც არ მქონდა დაფასება და, როგორც ნაამბობიდან გაიგებთ, ყველა მდიდარი კაცისაგან დამცირებული და დავიწყებული ვიყავ.

მე მიფრთხილდებოდნენ და მათასებდნენ მხოლოდ მულეები და გლეხები, რომლებიც, მეფის თვითმყრობელობის დროს ყველაზე ღარიბები იყვნენ და დიდი გაჭირვებით ცხოვრობდნენ.

ჩემი დაბადების მესამე დღეს, ყველა კაპიციანები ერთ დიდ ყუთში ჩავყარეს...



რამდენიმე ხნის შემდეგ სახელმწიფო ბანკში ამოყვავით თავი. ბანკში ერთ დღეს ერთმა კარგად ჩასუბებულმა ლიანამა მოლარემ ყუთიდან მუჭით ძაგინაზე დაგვყარა და პატარა ხარკმელში ვილაცას მიგაფარა.

სულ პირველად ერთ თვალგებდაწყვეტილ და ლოქოსავით პირდაღებულ კაცს ვადაძვაცა. ჩემს დანახვაზე იმან ჯერ რაღაც წიბურდღუნა, შეიძვე გაჯაჯრებულმა შემომიტია: — შენი ბარაქაც არ იყოსო, — და ჯერის ჯურღმულში ჩამიძახა.

მალე შევიტყვე, რომ ის კაცი დიდი სიმდიდრის პატრონი იყო. მისი წლიური შემოსავალი რამდენიმე მლიონ მანეთს უდრიდა. მიუხედავად ამისა, იგი ფულებით მაინც ვერა ძღებოდა. კვლავ ცდილობდა უფრო ბევრი ხალხი მოეტყუებინა და მეტი ფულები მოეგო. ამასთანავე ის დიდი ბოროტი, შეუსბრალებელი და გულქვა ადამიანი იყო.

მასსოვს, ერთ ღარიბ მუშას, რომელსაც შვილი წვრილი შვილი ჰყავდა, ბინის ქირის გადაუხდებლობის გამო, თავისი ხელით სუსხიან ხამთარში ცოლ-შვილი ქუჩაში გამოურეკა.

დიდხანს ვეძღვე იმ მდიდრის ჯიბეში. ბევრჯერ ვინატრე ჯიბიდან გაძრომა, მაგრამ ამაოდ. ტყვეობაში ვიყავ.

ერთხელ ბედმა გამიღიმა. „ქონკანზე“\* ასვლის დროს, რომელიც კუს ნაბიჯით ღარიბ-რახებდა, ჯიბეში ვილაცა უცნობის ხელი ჩამოეყუდა და ფრთხილად მივყვანა ხევით. ჩემი ტყვეობიდან დამხსნელი ვილაცა ახალგაზრდა გამოვდა. მე რომ დამათვალეირა,



არ ესიაოვნა, ჩემი თავი იქვე ახლო პატარა სავაქროს პატრონს გადაუგდო და ჯიბეში ერთი ცქვა მზესუშვირა ჩაიყარა.

მდიდრის ჯიბიდან ამოსულმა ძლივს თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ არც ის ვაპრუტანა გამოვდა კეთილი გულისა. ამკარად ატყუებდა ხალხს წონაში, მეტადრე მუშებსა და გლეხებს. სამკირვანქიანის მავიერად ორ გირვანქიანს უღებდა სასწორზე, ხუთკამიციან საქონელს ათ კამიკად ჰყიდდა, არავისი არ ეშინოდა, რადგანაც ზურგი მავარი ჰქონდა: იქვე საგულმავოზე მღვთი „გოროდოვოი“, რომელსაც ყოველ დღით არაყს აცეცხლებდა, მუღამ მას უჭერდა მხარს და მართალი მომიჩივნი მტყუანი გამოჰყავდა.

ერთ დღეს ამ ვაპრუტანამ ერთ გლეხისაგან ერბო და ყველი იყიდა. მე, სხვა წვრილ ფულთან ერთად, გლეხს ვადაძვაცა.

იმ გლეხის ოჯახში დიდხანს დავჩრჩი და ვაპირებაც ვინილე. საწყალი გლეხი დღე და ღამე მუშაობით ასწორებდა, წელზე ფეხს იდგამდა და მაინც მშვიდი და ნახევრად შიშველი ჰყავდა ცოლმეგლი.

მასსოვს, მათრახის ქნევით ფეთიანით შემოვარდებოდა მამასახლისი:

— მოქაული მობრძანდა ჩაფრებით და პური შიათო. — გოკს, ქათმებს და კვერცხებს არ სტოვებდნენ, ყველაფერი მიჰქობდათ. პირთან მიტანილ ლუქმას ხელიდან სტაცებდნენ. ხან ბეგარის ფულო, ხან სკოლის ფულო, ხან ეკლესიისაო, ხან რისა და ხან რისაო...

მიუხედავად ასეთი დაბეჩაგებისა და სიდატკისა, ეს გლეხი მაინც იმედინარ და ხალხისიანი კაცი იყო და ყველაფერს იტანდა. მაღიან ხშირად, როდესაც გაბოროტებული იყო ხოლმე, კედლიდან ჩამოიღებდა ღარებანი ფანდურს და გულიანად ლექსს დაამღერებდა...

მალე მსოფლიო ომი გამოცხადდა. გლეხის შვილი ნიკოც, მრავალ ახალგაზრდასთან ერთად, ჯარში გაიწვიეს.



\* ქონკა — ცხენებით სტარტებული ვაგონი, რომლითაც ძველად მოგზაურობდნენ თბილისის ქუჩებში. ქონკა შემდეგ ტრამვაიმ შესცვალა.

მამამ სხვა ხერხდართან ერთად ნიკოს ვაძაძე.

— აი, ჩემო შვილო. ამის მეტი ფული ჩვენს თაგას არ მოეპოვება. წაიღე, ვინ იცის, როგორ დაგპირდეს.

ატორიდან შინ დარჩენილი. ატორი და ნიკოც ბოლოს ერთმანეთს გამოეშველიობენ. ნიკო ვაძაძე გაუღდა.

ნიკოსთან ერთად ბევრი ტანჯვა და ვეება გამოვიტარე. ბევრი ქალაქი და სოფელი ვხანხე. კულამბიჯა ოფიცრებმა ბევრჯერ სცემეს საწყალო ნიკოს.

— რატომ სალამი დროზე არ მომეციო.

— რატომ ფეხზე არ ამიდგეო.

— ქული სწორად არ გახურავსო.

ერთხელ ისე მაგრაღ სცემეს, რომ თვეზე მეტი ლანჯრით იწვა. იქიდან რომ გამოვიცა, წინა პოზიციებზე უკრეს თავი.

პირველ ბრძოლაშივე მოკლეს ნიკო. მის სიყვარულს ვერ შევიტყობდი, რომ არ დავუკნენსა.

— ვაიმე დედავ ვაიმი ჩემო ცოლო და შვილო, საღ ვიყავდებით და, ნეტავ ვიცოდე, რის გულისთვისაო...

შუალამისას, როდესაც ბრძოლა მისწყდა და დღემილი ჩამოვარდა, ბრძოლის ველზე შავი ლანდი ფრთხილად შემოიპირა და დახოცილებს ძარცვა დაუწყაო. შავმა ლანდმა ნიკოს ჯიბიდან მეც ამომთარიცა და თავის ჯიბეში მიტარა თავი.

იმ მძარცველის ხელიდან, ქაღალდის მოთამაშის ხელში გადავიღე. ქაღალდის მოთამაშემ შეწირულების სახით ერთ ახალგაზრდა ჯარისკაცს ვაღამცა, რომელიც ომის საწინააღმდეგო კომიტეტის დავალებით ამხანაგებში ფულს აგროვებდა. ეს ახალგაზრდა ბევრ წიგნს კითხულობდა.

სულ პირველად იმისაგან გავიგონე ლენინის სახელი და სიტყვა „ამხანაგო“.

ერთხელ თავის ამხანაგებში უშომრად წარმოსთქვა მან ასეთი სიტყვა:

— ამხანაგებო! შეიგენეთ, რომ ეს ომი ბურჟუების მოწყობილია. მუშებს და გლეხებს ერთმანეთს გვაწყვეტინებენ. მას ამის სისხლს გვაღვრევენებენ, თვითონ კი მდიდრებთან და რესტორანებში თავდავიწყებით ჭეიფობენ. ძირს ომი და მისი გამჩალებლობა.

თითოეული ჯარისკაცი სიხარულით უსმენდა მის ლაპარაკს და გულში ომისადმი შიზლს ინერგავდა. მოგროვილი ფული ეილაო უცნობ კაცს ვაღამცეს. ეს უცხოი კაცი ამხანაგთა შორის დიდი ნდობითა და ბატონისკემით იყო აღჭურვილი. მთავრობა სდევნიდა მას. იგი მაინც უშომრად დაიასდებოდა ჯარისკაცებთან და მათ შორის ომის საწინააღმდეგო ბრძოლას აღვივებდა.

მიღებული ფული მან ერთ ნესტიან სარდალში მცხოვრებ მხატვარს ვაღამცა, და რაღაც შეუტყვეთა; მხატვარმა მეორე დღეს დაომხადა მას წითელი დროშა. დროშაზე წარწერილი იყო: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ძირს ომი! ძირს ომის გამჩალებლები!“ დაქვეითა დროშა მხატვრისაგან ფართულად წაიღო.

მხატვრიდან მეფურნეს ჯიბეში მოვხვდი. მალე მეფურნიდან ერთმა დაქირილმა ჯარისკაცმა აპური იყიდა. მეფურნიმ ჯარისკაცი ხურდა დაუბრუნა და მეც იმ ხურადამი მოვხვდი. ჯარისკაცი ახალი გამოსული იყო სააუღმყოფოდან და შეებულებით შინ ბრუნდებოდა. იგი თბილისელი აღმოჩნდა. თბილისში, რეინიგზის სადღურიდან რომ გამოვიდა, კონკაში ჩაჯდა. მე ბილუთის გამყიდველს ვაღამცა. მალე ერთი მოსწავლის ხელში მოვხვდი. ეს მოსწავლე მდიდრის შვილი აღმოჩნდა. იმან რომ სახლში მიმიტანა, დედას სიცილით ახვედა ჩემი თავი და უთხრა:

— დედა! ესეც იტყვის, მეც ფული ვარ და რამე შემოძლიანო. ტყუილად ჯიბეს მიკმუშაობებს და მტერი არაფერი! — ეს თქვა და ფანჯრიდან შორს ვაღამცისოლა და თქვენი ეზოში დავეცი. დიდი ხანი ვეძღე აქ მტვერში და მიწაში. თქვენი მადლობელი ვარ, რომ მიპოვნეთ და სახლში შემომიყვანეთ, თორემ კიდევ რომ მიწაში დავრჩენილიყავ, ენგი შემოქადა და ჩემი სხენებაც აღარ იქნებოდა.

ჯერ ეს იკმარეთ, ბეშგებო, და შემდეგ კიდევ სხვა ამბებს მოგიყვებო.

კაპოციანის ნამშობობი გატაცებული ბავშვები, მალე გამოერკვნენ და ღიმილით ერთმანეთს გადახედეს. კაპოციანს მადლობა გადაუხადეს და შეინახეს იმ იმედით, რომ ძველი კაპოციანი თავის თავგადასავლიდან კიდევ ბევრ რამეს უამბობდა მათ.



# პირველი ქართველი მფრინავი.



წელს დაბადების 80 და საავიაციო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ მფრინავს ბესარიონ საველესძე ქებურიას.

ბესარიონ საველესძე ქებურია დაიბადა 1870 წლის 28 თებერვალს სოფ. ჩხოროწყუში (ჩხოროწყუს რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის ოჯახისა და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს თბილისის საგზაო ტექნიკურ სასწავლებელში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს. ბუნებით ნიჭიერ და სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას უმაღლესი განათლების მიღების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ უსახსრობის გამო ეს ვერ მოახერხა. ამიტომ ბ. ქებურია იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო რკინიგზაზე უფროს ტექნიკოსად.

გადიოდა წლები... სამსახურმა ოდნავად ვერ დააყუთფილა დაუღვრომელი ბუნების ახალგაზრდა, რომელიც გატაცებული იყო ყოველგვარი ახალისადმი მისწრაფვით ტექნიკასა და მეცნიერებაში. მას განსაკუთრებით იზიდავდა საფრენოსნო საქმე. ბევრი კითხულობდა, ეზნაღებოდა მომავლისათვის. როცა ახალგაზრდა ბ. ქებურიამ პირველად შეიტყო მოკაისკის გაფრენის ამბავი, როცა პროფესორ ფუკოვსკის მიერ ავიაციის საკითხებზე შემუშავებულ დებულებებს გაეცნო, აღფრთოვანდა, იმედით განიშკვალა და გადასწყვიტა საფრენოსნო საქმის შესწავლა. მაგრამ როგორ უნდა განეხორციელებინა თავისი ოცნება? მას არავითარი სახსრები არ გააჩნდა მოჭირიანი თვითმფრინავის ასაგებად. რამდენიმე წნის შემდეგ მან მოახერხა აეგო საკუთარი კონ-

სტრუქციის ბამბუქის პლანერი, რომლითაც თბილისში გაფრენამ ხალხი გააყვირა.

ეს მოხდა 41 წლის წინათ — 1909 წელს თბილისის გარეუბნის — საბურთალოს მუყანით მოსილ ველზე. აპარატი არაერთი რთულ ნაგებობას არ წარმოადგენდა. ეს იყო უბრალო ბამბუქის პლანერი, რომლითაც ბესარიონ ქებურია რამდენიმე წრე გაავიდა პაერში.

ახალგაზრდა მფრინავი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე. მან თავისთავს პირველი გამოცდა გაუეთქა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დასახულ მიზანს მიადრეკდა.

ბ. ქებურიას სრულიად არ აცმაყოფილებდა პლანერით ფრენა. მისი ოცნება იყო მოჭირიანი თვითმფრინავი.

1909 წელს ბესარიონ ქებურია მიემგზავრება მოსკოვში რუსეთის ავიაციის მამათან—პროფესორ ნ. ე. ფუკოვსკისთან რჩევადარიგების მისაღებად. ფუკოვსკიმ დიდი სიამოვნებით მიიღო ავიაციის ენთუზიასტი და ყურადღებით მოუხსინა მას.


ბესარიონ ქებურია



— მაშასადამე თქვენ გსურთ საფრენოსნო საქმის შესწავლა, — უთხრა ფუკოვსკიმ ქებურიას, — ეს მეტად სასიხარულო ამბავია. ფრენოსნობას დიდი მომავალი აქვს და სწორედ თქვენისთანა დაინტერესებულ ახალგაზრდობა ესაპიროება ახლა ამ საქმეს. რუსეთში ამ მხრივ დიდი საქმე კეთდება. ამჟამად მთელი ჩემი მეცნიერული მუშაობა ავიაციის საკითხებს დაეუთმე. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ქვეყნის მფრინავები, ჰაერის დაპყრობით, მსოფლიოს ალაპარაკებენ. მე თქვენ ვირჩევთ, — ვანაგრძობდა ფუკოვსკი, — კიდევ ერთი წელიწადი მოითმინოთ. მომავალ წელს კი სეფს-

1935 4 28 4

საქართველოს  
საბჭოთაო  
საზღვრო  
სამხრეთი



ბ. ქებურია თავის პირველ თვითმფრინავთან.

ტოპოლოში გაიხსნება სამხედრო მფრინავთა სკოლა. მე შემოდლა იმ სკოლაში ჩაგრძეცხოთ. ქებურია დიდ მეცნიერთან საუბარმა მეტად ჩააფიქრა. მაგრამ დაუღებარ ენთუზიასტს აო ყოფნის მოთმინება და მიემზავრება საფრანგეთში. იქ ქებურია ჩაერთება სააიაციო სკოლაში, სადაც საფრენოსანო საქმის შესწავლის საქმეში მან განსაკუთრებული უნარიანობა გამოიჩინა.

1910 წლის ივლისში ქებურია მწარმატებით ჩააბარა გამოცდა და ავიატორის წოდების დიპლომი მიიღო. იმავე წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში საკუთარი თვითმფრინავით სამშობლოსაკენ გამოემზავრა. ქებურია გადაწყვეტილი ჰქონდა რუსეთის სოფლ რიგ ქალაქებში მოეყუო ვაფრენები და თან ავიაციის შესახებ ლექციები წაეკითხა. პირველი ასეთი ვაფრენა მან 1910 წლის სექტემბერში მოაწყო ქალაქ ვარშავაში.

„იყო შაბათი, — წერს თავის მოგონებებში ბ. ქებურია, — როცა მე პირველად რუსეთის ფარგლებში — ვარშავაში\* მოვაწყე ვაფრენა. ფრენამ მშვენიერად ჩაიარა, მშვიდობით დავეშვი მიწაზე. ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, ჩემთან მოვიდა ვარშავის გენერალ-გუბერნატორი სკალინი და მიითხრა:

— თქვენ, ბატონო ქებურია, დაჯარიმებული ხართ ხუთასი მანეთით!

— თქვენო აღმატებულეზავ, ვთხოვთ ამიხსნათ, თუ რისთვის მაჯარიმებთ? — მიემართე გენერალ-გუბერნატორს.

— ქალაქის თავზე ფრენის დროს მოტორი რომ გაჩერებულყო — თქვენი აპარატით ხალხს ვაულებავდით! — მიპასუხა მან.

\* ამ დროს პოლონეთი რუსეთის იმპერიაში შედიოდა.

ამ დროს გენერალთან პირველად ვილაფ ხანში შესული ქალი და უთხრა მას: „უკაცრავად ბატონო გენერალო, ჰაერის დამპყრობს არ ასამართლებენ“. და მართლაც იმ ქალის თხოვნით ჯარიმა მომხსნეს“.

ეს შემთხვევა იმაზე მეტყველებს, თუ რა უსულგულოდ ეყრობოდა მეფის მთავრობა ავიაციის ნოვატორებს.

ამის შემდეგ ბესარიონ ქებურია ვაფრენას აწყობს პეტერბურგსა და მოსკოვში. შემდეგ ნიენ-ნოვგოროდში (დღევანდელი გორკი), ყაზანში, სარატოვში, ასტრახანში, ბაქოში ყოველი ვაფრენის წინ იგი ხალხს ლექციებს უკითხავს და ამით მასში ავიაციის პრაზაგანდს ეწყევა.

ბოლოს ქებურია თბილისაძენ მოაღწია, მაგრამ მისი თვითმფრინავის მოტორი უკვე ვაკვეთილი აღმოჩნდა, ხოლო ხის ნაწილი დახვრდებული. ასე რომ მასზე ფრენა მეტად სახიფათო იყო.

მფრინავმა-კონსტრუქტორმა ქებურია უარყო ბლერიოს\* აპარატი, როგორც მოძველებული, და გადასწყვიტა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავის შექმნა. ამ საქმეში მან დიდი შეუბოჯობა გამოიჩინა და მალე ააშენა ისეთი აპარატი, რომელიც სილამაზით, სიმშუბუქითა და სისწრაფით ბევრად სჯობდა უცხოეთში დამზადებულ თვითმფრინავებს.

თავისი ახალი კონსტრუქციის თვითმფრინავით ბ. ქებურია მეოლი რიგი ვაფრენები მოაწყო, როგორც თბილისში, ისე ქუთაისში, ხონში, სამტრედიასში, ახალსენაქში (ცხაკაია), ფთოში, სოხუმში. მართალია, მეფის მოხელეები აღმაცერად უყურებდნენ და ხელს უშლიდნენ მის ვაფრენებს, მაგრამ სამაგიეროდ ხალხი სიზარულით ეგებებოდა ჰაერში მის ყოველ გამოჩენას. ეხმარებოდა და ამხნევედა მას.

ვაზეთი „ზაკავკასიე“ წერდა:

„7 ივნისს თბილისის საზოგადოებისათვის მოულოდნელად კონსტრუქტორ-ავიატორმა ბ. ს. ქებურია მოახდინა შესანიშნავი ვაფრენა ახალ აეროდრომზე, სარბენ მოედანზე დიდუბეში. აპარატი ჰაერში იყო 22 წუთს და იგი მრავალჯერ შემოტორილდა ლამაზად. დიდძალი მაყურებელი, რომელმაც გადაიღა ხლორთები, აპარატთან მივიდა და მათ ავიატორი მქუხარე ტამით დააჯილდოვეს, მსთან ჰაერში აიტაცეს“.

პირველი მსოფლიო ომის დროს ბ. ქებურია ფრონტზე იმყოფება, სადაც განავებდა

\* გლუზო — ფრანგი ავიაკონსტრუქტორი.

კაცების საავიაციო რაზმის ტექნიკურ ნაწილს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბესარიონ ქებურია სამოქალაქო ავიაციის პროპაგანდისტისა და პოპულარიზატორის როლში გამოდის და ამ მხრივ დიდ სასარგებლო მუშაობას ეწევა.

1931 წელს ავიაციაში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის საბჭოთა მთავრობამ ბ. ქებურიას მიანიჭა „სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავის“ საპატიო წოდება, დაუნიშნა პერსონალური პენსია და თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიაკეთენა მისი სახელი.

1945 წელს უხუცესი მფრინავი ბესარიონ

ქებურია საქართველოში ავიაციის განვითარების დარგში თვალსაჩინო მოღვაწეობისათვის, დაბადებიდან 75 წლისთავისა და საავიაციო მუშაობის 35 წლისთავთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ბესარიონ ქებურია ახლა 80 წლისაა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი სრულიად ჯანსაღად ვრძნობს თავს და მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს ზალხისა და სამშობლოს საეთილდღეოდ.

**ვალერი კვარცხავაძე**



**პ ა წ ი ა ტ რ ა ქ ტ ო რ ი**

საბჭოთა კონსტრუქტორებმა შექმნიეს ახალი საბოსტნე ტრაქტორი. იგი ოცჯერ უფრო პატარაა ძალოვან ტრაქტორ „ს-80“-თან შედარებით. მსუბუქ ორთვლიან ჩარჩოზე დადგმულია ბენზინის სამი ცხენის ძალიანი მობოტორი. ტრაქტორის მიმავრებული აქვს სამიწათმოქმედო იარაღები, რომლებიც სპეციალურად ამ ახალი ტრაქტორისათვის არის დამზადებული. კაცი უჯან მიჰყვება მანქანას და მართავს მას. ხელი აქვს მოკიდებული ორ სახელოტრზე, რომლებზეც თავმოყრილია მომბრუნებელი ბერკეტები, მუხროტები, სისწრაფის მომწესრიგებელი და სხვა.

ახალი ტრაქტორი გამიზნულია ბოსტნეზას

და ბაღებში მოხენის, მოფარცხვას, თესვის, მარგვლისა და სხვა სამუშაოების შესასრულებლად. ტრაქტორი მოძრაობს 2 1/2-დან 4 1/2-მდე კილომეტრის სისწრაფით საათში. ამ მანქანის სამუშაოებით დღეში ითვისება 2-დან 4 ჰექტარამდე სხვადასხვა ბოსტნეული კულტურები. ბენზინის ხარჯი არ აღემატება 1 1/2 კილოგრამს ერთი ჰექტარი ფართობის დამუშავებაზე. ტრაქტორის გამოყენება გამწვევ ძალადაც შეიძლება. მას შეუძლია აგრეთვე პატარა დინამომანქანების, ძირმჭრელების, წყლის საქაჩავი ტუმბოებისა და სხვა ასეთი მანქანების ამოძრავება.

**ჩ ვ ე ნ ი ფ ი დ ტ ვ ე ბ ი ს მ უ შ ა ო ბ ა**

ადამიანი განუწყვეტლივ სუნთქავს. ამ ფილტვები მუშაობენ.

თითქოსდა ეს მუშაობა ისე უმნიშვნელოა, რომ მისზე ლაბარაციც არა ღირს. მაგრამ თურმე უმნიშვნელო როდია მისი მუშაობის ძალიანობა: ფილტვების სადღეღამისო მუშაობა აღწევს 20 ათას კილოგრამ-მეტრს! ამ ძალის მუშაობა უნდა ვასწოვოთ ცხენსა, რომ მან გადავიყვანოთ თქვენ ორავალათი ორი კილომეტრის მანძილზე.

ჩვენ ჰაერით ვისუნთქავთ ჰეაებადს და ამოვისუნთქავთ ნახშირმჟავა ვაზს.

დღეღამეში ადამიანი ამოისუნთქავს დაახლოებით 1-2 კილოგრამ ნახშირმჟავა ვაზს — წელიწადში დაახლოებით ნახევარ ტონას. ასე, რომ მთელი კაცობრიობა ყოველწლიურად თავისი ამოისუნთქვით ატმოსფეროში გამოჰყოფს დაახლოებით მილიარდ ტონა ნახშირმჟავა ვაზს.

# მწყემსის აკოზი



აკოზი

ჩემს სოფელში დიდ-პატარა  
 იცნობს ზურას და ცისმარას;  
 ერთი სწავლობს, და მეორემ  
 ცხვრების მწყემსეა შეიყვარა.  
 ზურამ, ურჩმა, არ იქნება  
 დაიჯეროს დარიგება;  
 შარშან სკოლა მიატოვა,  
 კლასი წელსაც არ დაბრუნდა.  
 კომბლით ხელში ცხვრებს დაჰყვება  
 და ჰკიდია ზურგზე გულდა.  
 ისე დიდი ქუდი ჰხურავს,  
 გაგაცინებს უნებურად.  
 დილით ადრე, როს ცისმარა  
 სკოლისაკენ მისდევს შარას,  
 მწყემსი ზურა შვიდი ცხვართით  
 ხედება გზასთან ახლო მდგარი.  
 — გამარჯობა!  
 — გაგიმარჯოს!  
 — ბიჭო, მწყემსევას სწავლა არ სჯობს?  
 — დამოკლება გმართებს ენის,  
 არ მჭირდება რჩევა შენი,  
 შენს წიგნებზე ამ კოჟულ ვაცსაც  
 არ გაგიცელი,—გსურდეს გაცვლა.  
 გადაფურცლე აბა წიგნი,—  
 ხომ ჰხატია ცხვარი შიგნით.  
 თუ საჭიროა აღარ არი,  
 რად დახატეს წიგნში ცხვარი?  
 — ცხვრის აუცი შენ ვინ ვითხრა?  
 მაგრამ მწყემსმა წიგნის კითხვა  
 თუ კი იცის, უკეთესად

მაშინ შესძლებს იგი მწყემსეას.  
 წიგნი რჩევას მოგცემს მუდამ,  
 პირუტყვის მოვლა როგორ უნდა...—  
 და ცისმარამ მწყემსს აჩვენა  
 მოხატული „დედაენა“.  
 უხსნის, ურჩევს, მაგრამ რჩევა  
 ნაყოფს მაინც არ იძლევა.  
 უკვირს—ცხვრები ამ პატარამ  
 ასე როგორ შეიყვარა!

2

ერთ დღეს ვაცი გახდა ავად,  
 მოიქუნტა საცოდავად.  
 დაასვენა ხისქვეშ მწყემსმა,  
 ეფერა და ეალერსა.  
 შეამჩნია ზურამ მალე,  
 რომ სხვა ცხვრებიც შეიცვალენ—  
 მოიწყინა თითქმის ყველამ,  
 ზანტი გახდნენ საკვირველად,  
 აღარ ქონდათ მუხლში ძალა,  
 აღარ ახლეს ტუჩი ბალახს.  
 მწყემსი შიშმა შეიპყრო,  
 ცრემლებს ვეღარ ფარავდა.  
 იღვა შეშფოთებული  
 ტყის ნაპირას—შარასთან.  
 ხედავს—მოდის ცისმარა,  
 სახე ტკბილად უღიმის,  
 ვერ შენიშნა რატომღაც  
 მწყემსი ზურას წუხილი.  
 უთხრა „წელი სასწავლო  
 დღეს ზეიმით დასრულდა,

მომცეს ქების სიგელი  
წარმატების დასტურად.  
თან ბელადის სურათი  
გაშალა და ანახა:  
„ეს კი ჯილდოდ მივიღე.“ —  
მწყემსს აუხსნა ამყადა.  
დიდხანს როდი შეჩერდა,  
საქმე ჰქონდა საჩქარო,  
ახალ წარმატებებზე  
შინაც უნდა ახაროს.

3

სალამოა, დგება ბინდი,  
მწყემსი მაინც შინ არ მიდის,  
აღარ კარგავს იმედს ზურა  
და ავადმყოფ ცხვრებზე ზრუნავს:  
კრეფს ბალახებს—არ გამოორჩა  
არც სამყურა არც ზონჯა,  
თვითნებულ ცხვარს ბიჭი გარჯიით  
პირს უხსნის და ბალახს აჩრის.  
მაგრამ მწყემსი ზედავს ცხადად,  
ამაოა, რაც კი სცადა;  
ცხვრები გვიან ქანცვაცლილებს,  
მხოლოდ წყალი შესვებს მცირე...  
როცა ბინდმა ტყე დაჰფარა,  
შინისაკენ გაჰყვინენ შარას.  
მაგრამ სახლში მისვლამდე  
ერთმა სული დალია,  
შვიდი ცხვარი თუ იყო,  
ახლა ეტყვი ცხვარია.  
მოეხვიენენ გლეხები,  
როცა სახლს შიადწია:  
— ცხვარი დაავადდაო,  
ატყდა გაწამაწია.  
— წავიდეთო მკურნალთან,



და შეკაშმეს ცხენები,—  
ორნი სოფლის საბჭოსკენ  
გზას გაუდგინენ ქენებით.  
მოიყვანეს მკურნალი,  
კაცი ტანად მაღალი,—  
უხდებოდა სათვალე,  
ფეხზე ჩექმა ახალი.  
ვეტექიმმა აქ დინჯად  
ყველა ცხვარი გასინჯა,  
შემდეგ წამლის შუშები  
ჩაამწყრივა თაროსთან;  
ზურამ ნახა, მკურნალი  
ნემსებს როგორ ხმარობდა.  
პოეწონა ბიჭუნას  
მისი ცოდნა, უნარი,—  
თქვა: მეც ნეტავ გავხდეთ  
ვეტექიმი—მკურნალი.



დლით აღრე წამოდგა  
მწყემსი ზურა, და ნახა:  
ცხვრებმა წყალიც დალიეს,  
მშვიდად სძოვენ ბალახსაც...  
ვეტექიმი შეაქო  
კაცი—ცოდნით რჩეული,  
შემდეგ ბიჭმა მონახა  
წიგნები და რვეული.  
გაიხსენა ანბანი,  
სწავლა—ქვეყნად ნაქები,  
გაიხსენა ცისმარა  
და სხვა ამხანაგები.

ის სკოლაში დადის ახლა.....  
 კლასში მისთან ნისებრ მარჯვენ  
 სხვის ვერ ნახავთ. ბეჯლითია,  
 მიტომ კარგი ბიჭი ჰქვია.  
 მაგრამ ცხვრები უყვარს ახლაც,  
 და როდესაც წიგნში ნახავს  
 ცხოველების ლამაზ სურათს,  
 გაიხარებს უნებურად,  
 როცა გზაში მიდის ზურა,  
 ცხვარს თუ ნახავს,—მივა დინჯოდ,  
 ჩლიქს და კბილებს გაუსინჯავს.  
 ბიჭს სახელი მიტომ მალე  
 „ვეტეჟიმი“ შეუცვალეს.  
 ახლა ზურას ნამდვილ სახელს  
 ოქვენაც ნულარ დიუძახებთ,  
 დაუძახეთ—ვეტეჟიმი,  
 შეგაგებებთ იგი ღიმილს,  
 და პატარას ასე სჯერა;  
 რაც პირუტყვზე დაიწერა —  
 შეისწავლის იმ კარგ წიგნებს,



## მ ფ რ ი ნ ა ვ ი თ ე ვ ზ ი

აფრიკაში არის პატარა თევზი ბომი, რომელიც ზღვის ნაპირას გორავს ქვიშაში და მზეზე თბება, ზოგჯერ კი ზღვე აღის და ტოტებზე გაწვება ზოლომე. ის ორი მეტრის სიმაღლიდანაც კი ზტება წყალში და ემალება მტერს. მაგრამ თუ წყალში გამოუღებება რომელიმე თევზი, ჰაერში ამოხტება და ამით გადარჩენს თავს. ბომი ხშირად დარბის კიდეც: შედგება ბოლოზე და წინა „ხელებზე“ და ასე მიხტუნავს სკუპ-სკუპით.

არის აგრეთვე ამფრინავი თევზებიც. ზოგ მათგანს ჰქვია მერცხალა, ზოგს ყვინჩილა. მერცხალა კარგა მოხარდილაა — დაახლოებით ნახევარი მეტრი. მერცხალები გუნდად

შემდეგ მცოდნე გზას გაიგნებს, კოლექტივის გასახარად მოამარაგლებს ჯოგს და ფარას, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ვიცი გახდეს იმოდენა — მიიჩნიონ უნდა ხარად, ხარი სპილო იყოს ტნანდ, ტრაქტორივით ხნადღეს ყანას, ამოაგოს კასრი ხელად ძროხის ერთმა მონაწველმა. ეს ამბები შემდეგ ყველა კრემლში უთხრან თვითონ ბელადს. ასე ფიქრობს,—განა სცდება? ოცნებებით გატაცება სინამდვილით შეიცვლება, დროთუ უქმად არ გასცდება. ზურა ნანატრს არ აცდება, და როდესაც დაკაცდება სათვლით და მალალ ჩქვით ვნახავთ ზურას—ჩვენს ვეტეჟიმს.

აფრინდებიან ზოლომე ზღვიდან და შეუძლიათ ექვს მეტრზე აფრინდენ ჰაერში. შემდეგ კი თუ სურთ, ორას მეტრსაც გადაიფრენენ და მერე ისევ დაეშვებიან წყალზე; მეცნიერთა მიერ შემჩნეულია, რომ ეს მერცხალა თევზები ნადირობენ ჰაერში, იჭერენ სხვალსხვა მწერებს. ზღვის ფრინველები ემეტრებიან მათ და დასდევენ დასაჭერად, მაგრამ მერცხალები ოსტატურად გადარჩენენ ზოლომე თავს. მეორე მფრინავი თევზის — ყვინჩილას თავი მართლაც წააგავს ჩვეულებრივი ყვინჩილის თავს და ისიც დაფრინავს ჰაერში ზღვის ტალღებიდან ექვსი მეტრის სიმაღლეზე. ის ფერადი, მეტად ლამაზი თევზია.





დაბადებიდან 120 წლისთავი

მეცხრამეტე საუკუნის მწერლებიდან, დანიელ ქონქაძემ პირველმა გაილაშქრა ვაგბედულად იმ სოციალური უსამართლობის — ბატონყმობის წინააღმდეგ, რომელიც ქართველ ხალხს საუკუნეთა განმავლობაში სტანჯავდა.

დიდი რუსი მწერლის რადონიჩევის მწავლად „სურამის ციხის“ ავტორმაც თავის ერთადერთ მოთხრობაში მკაცრად დაჰგმო ბატონყმური წესწყობილება.

დანიელ ქონქაძე დაიბადა 1830 წელს დუშეთის მაზლობლად, სოფ. ყვავილში. მწერლის მამა გიორგი წარმოშობით გლეხი იყო, მაგრამ უმნიშვნელო განათლების წყალობით საეკლესიო სამსახურს ეწეოდა.

8 წლამდე დანიელი სოფელში იზრდებოდა. წერა-კითხვა მზრუნველმა და მოსიყვარულე დედამ შეასწავლა; მანვე ჩაუნერგა მშრომელი ხალხისადმი სიბრალულისა და პატივისცემის ღრმა გრძობა. 1839 წელს დანიელის მამა სამსახურის გამო ჩრდილოეთ ოსეთში გადაჰყავთ. 9 წლის დანიელი კავკავის (ახლა ძაუ-ჯიჯაუ) სასულიერო სასწავლებელში ეწყობა, რომლის დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში აგრძელებს სწავლას.

მოწაფეობის წლებში დანიელი გამოირჩეოდა ბრწყინვალე ნიჭიერებით და სწავლისადმი მისაბამი გულმოდგინებით.

თვითგანეთიარებას ხარბად დაწაფებულ დანიელი, მიუხედავად ზედამხედველთა მკაცრი მეთაურობებისა, სემინარიაშივე ეცნობოდა რუსეთის დიდი დემოკრატი რევოლუციონერების ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის და სხვათა ნაწერებს, თბილისის სემინარიის დამთავრების შემდეგ (1851 წ.) იგი დანიშნეს კ. სტაჟროპოლის ერთ-ერთ სასწავლებელში, მასწავლებლის თანამდებობაზე. 1855 წლიდან დანიელ ქონქაძე თბილისის სასულიერო სემინარიაში გადმოჰყავთ ოსური ენის მასწავლებლად, სადაც, ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად, საყურადღებო სამეცნიერო მუშაობას ეწევა. იგი გულმოდგი-

ნელ აგროვებს ოსური ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს და წერს ეთნოგრაფიული შინაარსის ნარკვევებს ოსი ხალხის ცხოვრებიდან. სამეცნიერო წრეების დაეაღებით დიდძალ მასალას უყრის თავს რუსულ-ოსური ლექსიკონის შესადგენად, მაგრამ ნაღრევი სიყვილის გამო ეს სამეცნიერო დამუშავ-



დანიელ ხონქაძე

ჩებელი დარჩა. ზაფხულობით დანიელი სამშობლო სოფელში დადიოდა ხოლმე და სილატაყით გულგატეხილ გლეხაცობას უკეთესი მომავლის იმედს უწერავდა.

1859 წელს ეურნალ „ცისკარში“ ორ ნაწილად დაიბეჭდა დანიელ ქონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“.

მოთხრობაში მეზრძოლი სულისკვეთებით იყო მზილებული ბატონყმური საქართველოს საშინელბანა.

აღმფოთებულმა თავადაზნაურებმა ამ ნა-

წარმოების პირველი შემთხვევების ანტიონ ფურცელის სიტყვით: „გალიუსს, ვაძმობა-ღუს ეს თხზულება და როგორც საჩუქრად ისე დანიხებს თავისი თავი. „სწორედ ჩვენა ვართ“ — თევის ყველამ ერთის ხმით“.

გათვინებულმა თავადებმა როგორც მოაწყეს თავიანთი დანიუსზე, მაგრამ პირადმა სომხაცემ იხსნა მწერალი სიკვდილისაგან. ისედაც სუსტი ავებულების დაივიღს სიღუბანს აღარ უტოცხლია, 1860 წელს, სიღუბლიად ახალგაზრდა, ვარდაცვალა ქვექით. საშუაზაროდ, ახლობლებმა ვერ გაათვალისწინეს დანიელის ხელნაწერთა დიდი ღირებულება და, ავი სენის ვადღებებს შიშით, ყველაფერი ცეცხლს მისცეს.

უღრმოდ დაღუპული მწერალი ვერის სასაფლაოზე მიაცილეს თავისიანებმა და ყურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ. ამ უკანასკნელმა მგრძობიარე ლექსით დიეტრა მშრომელთა ქომაგი და მოამაგე.

მეფის მთავრობისაგან უყურადღებოდ მიტოვებული დანიელის საფლავს, რომელიც ამჟამად კიროვის სახელობის პარკშია, მშენებნიერ ტეის ძეგლი აშენებენს; ხოლო დანიელის უყვდავი მოთხოვნა ათასობით ტირაქით მოფენილია საბჭოთა საქართველოს მოსახლეობაში.

მეცხრამეტე საუკუნის ბატონყმური საქართველოს სინამდვილე მდიდარ მასალას იძლეოდა „სურამის ციხის“ დასაწერად.

მართალია, „სურამის ციხის“ ამბავი, ვახუშტი ძეგლ ხალხურ ლეგენდაში, ავტორმა საშუალო საუკუნეთა სიბნელეში გადარჩენა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთგვარი ლიტერატურული ხერხი იყო მეფის ცენსურის თავადის ასახვევად. მოთხოვნაში დანიელ კონქაძემ რეალისტური დამაჯერებლობით გადავიწვლა მე-19 საუკუნის ბატონყმური საქართველოს არადაპიანურ, აუტანელი სინამდვილე.

მართლაც, აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება მოთხოვნის გმირებს ღურმისხანსა და ოსმან-ალას.

როდესაც იმერელი თეადის კარზე გაკირებაში აღზრდილი ღურმისხან წამალაძე წამოიზარდა, გულქვა ბატონმა სხვაზე გაასაჩუქრა. მოსაყვარულ ღელამ ვერ აიტანა მონობაში შობილი შვილის მოშორება და ტანჯვით დაღაა სული.

მეშამულეთა თავმჯდბულობის კიდევ უფრო შემადიწუნებელი სურათი დაგვიხატა ავტორმა მოთხოვნის იმ ნაწილში, სადაც ოსმან-ალას თავდასასავალი აღწერილია. შეუბრალებულმა ბატონმა უღრმოდ, დაბღუ-

ბულ ნოდარს (იგივე ოსმან-ალას) ყველაფერი წაართვა, ხოლო მისი მოხუცი ღელა და თეათონ ნოდარი ყმებად დაიყუენა. როდესაც 5 წლის შემდეგ თბილისში გადახვეწილმა ქეთიმა თავისი გააბრვის ამბავი ელოც მღვდელს გაანდო, ანაფორიანმა ჯამბუშა კვლავ მრისხანე ბატონის ხელში ჩაყარა ღელა-მგელი.

აი, რა მოუთხრო თვალცრემლიანმა ოსმან-ალამ ღურმისხანს: „ბატონთან რომ მივცივანეს, იმან უბრძანა ბიჭებს, რომ შევებით გუთანში. დიან, გუთანში ისე, როგორც აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაგვადგეს ციქრზე. მაგრამ ეს სასაჯული ბატონმა ჰოვია მსუბუქად, იმიტომ გუთანში ხარები დადიოდნენ ძლიერი ხელა და ვერ დაველოებოდით. და ამისათვის მეორე ღლეს შევება კერში. კვერზე დაჯდა თეთონ და გვერგებოდა... დედაჩემმა თითქმის ათჯერ შემოურბინა კალის ისე, რომ ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან. შეთერთმეტელ რომ უნდა დავეწყო შემოვლა, დედაჩემი უეცრად წაიქცა და მივცდა“.

თავისი უსიხარული ცხოვრება ოსმან-ალამ მსოფლისეკვლამომიბილავე გულში ქაღლის ნატოს სიყვარულით, მაგრამ ეს ბედნიერება უნაძოკლე გამოდგა. გათავხებებულმა ბატონმა ნამუსი ახადა ნატოს და თავი მოაქველევინა უღრმოდ.


მოთმინებლან გამოსულმა ოსმან-ალამ ხანჯლთ აქუქუა ბატონი და მისი ცოლ-შვილი. თეთონ კი ოსმანიონში გადაიხვეწა, სადაც ქართველების მოსისხლე მტრების ოსმალების მსხვერპლი გახდა.

დანიელ კონქაძემ, როგორც რეალისტმა მწერალმა, უყურადღებოდ არ დასტოვას დიდი ცვლილებები, რაც ჩვენში სავაქრო კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ხდებოდა. მისი მოთხოვნის გმირები ფულადი მულრემობის ტრიალში არიან ჩაბმულნი და სათანადო წარმატებასაც აღწევენ.

დანიელ კონქაძემ, თავისი უღრესად მებრძოლი სულისკვეთებით, უღაოდ მტკიცე ნიადაგი მოუშადა ილია ქვეყაძეს და მისი თაობის ინტელიგენციას, რომელმაც მე-19 საუკუნის II ნახვერიდან მძლავრად გაშალა ერთოფულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დრობა.

როდესაც ბედნიერი თაობები მებრძოლი მწერლის უყვდავ წიგნს გადაწვიან, შეუძლებელია აღმამოთებელი მულეარებით არ წარმოიდგინონ ძალმომრეობისა და ოსმან-მართლობის ხანა, რომელიც დიდი ხანა ისტორიამ ჩაიხარა.

სიმ. სხიზმაძე



მ გ ე

ვის არ ხიბლავს დილით მზის ამოსვლა! ვის არ შეჰხარის ამ ცეცხლოვან, კაშკაშა, „ბურთას“, როდესაც იგი მთების იქით გამოიხსნება და შეუბრალებს ქვეყანას! მზე არის სინათლისა და სითბოს დაუმრეტელი წყარო.

ლამით, მოქმენდილ ცაზე, თქვენ ხედავთ ვარსკვლავებს... ვარსკვლავებიც მომხიბვლელია, — მაგრამ იცით თუ არა თქვენ, რომ ჩვენი მზე ერთ-ერთი ვარსკვლავია? იქნებ ეს ზოგიერთ თქვენგანს გაუჭვირდეს, მაგრამ მზე ნამდვილად ერთ-ერთი ვარსკვლავია იმ ძრავად ვარსკვლავთა შორის, რომელთაც ჩვენს ლამით მოქმენდილ ცაზე ვხედავთ. არიან ვარსკვლავები ჩვენს მზეზე დიდები და კაშკაშა. მაგალითად, ვარსკვლავი სირიუსი 32-ჯერ უფრო კაშკაშაა, ვიდრე ჩვენი მზე.

— თუ ასეა, — იცითხათ ალბათ, — რატომ ის დიდი ვარსკვლავები ჩვენს მზეზე ბევრად პატარა ჩანან და სინათლესაც არ გვფენენ ისე ძლიერად, როგორც ვხედავთ მზე გვფენს?

ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა სწავლულებისათვის ძნელი არ არის: მზე დედამიწასთან ყველა ვარსკვლავზე ბევრად უფრო ახლოსაა. მაგრამ ეს „ახლო“ მანძილი თავის მხრივ ძალიან დიდია. იგი დაახლოებით 150 მილიონ კილომეტრს უდრის. ამ მანძილის თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ რკინიგზა, რომელიც თითქმის დედამიწასა და მზეს შორის არის გაყვანილი; წარმოვიდგინოთ ჩქარი მატარებელი, რომელიც ამ რკინიგზაზე შეუსვენებლად 60 კილომეტრ მანძილს გარბნის საათში. ეს მატარებელი ასეთი სიჩქარით 285 წელწიადს მოუსწდება მზემდის მიღწევას. დედამიწიდან გასროლილი ყუმბარაც კი მზემდის 10 წელწიადზე ადრე ვერ მიადგევდა.

ჩვენ ვიცით, რომ დედამიწა მრგვალი ფორმისაა. ასევე მზეც მრგვალია. მაგრამ მზის განივი 109-ჯერ მეტია დედამიწის განივზე, ხოლო 400-ჯერ მეტი — მთავრისაზე.

მზის მოცულობა მეტად დიდია. მზის

სფერო რომ ცარიელი წარმოვიდგინოთ და ამ სიცარიელის ამოვსება „ბურთებით“ მოვისუროთ, ამისათვის საჭირო იქნებოდა ერთი მილიონ 300 ათასი ამოდენა ბურთი, რამოდენაც ჩვენი დედამიწა არის.


მზის ზედაპირზე მცეცხვების მიერ შემხრულთა ლაქები. ამ ლაქებზე დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ მზე ღერძის გარშემო ბრუნავს. ძაგრამ მზის ბრუნვა მკვეთრად განიჩნევა დედამიწის ბრუნვისაგან. დედამიწის ზედაპირის ყოველი წერტილი ერთსადაიანად დროს — ერთი დღელამის განმავლობაში ასრულებს სრულ შემობრუნებას, მზის სხვადასხვა სიგანეზე მდებარე ლაქები კი სრულ შემობრუნებას სხვადასხვა დროს ახდომებენ. ყველაზე უფრო სწრაფად მზის ეკვატორული წერტილები ბრუნავენ, რომლებიც სრულ შემობრუნებას 25 დღელამზეს ახდომებენ. რაც უფრო შორსაა წერტილი მზის ეკვატორიდან, მით უფრო მეტია მისი შემობრუნების დრო. მაგალითად, მზის პოლუსების მახლობლად ერთი შემობრუნების დრო 34 დღელამემდე აღწევს.

მზის ბრუნვის ეს თავისებურება ამტკიცებს, რომ მზე არ შეიძლება მყარი სხეულოყოს, არამედ თბიერი, ან უფრო გაზობრივი უნდა იყოს. ამას ისიც ამტკიცებს, რომ მზის მასის სიმკვრივე, დაახლოებით, 4-ჯერ ნაკლებია დედამიწის მასის სიმკვრივეზე.

დედამიწაზე არ არის ცნობილი ისეთი სხეული, რომელსაც მზის ტემპერატურა ჰქონდეს. მეცნიერების აზრით მზის ზედაპირის ტემპერატურა დაახლოებით 6000° უდრის, მზის სიღრმეში იგი თანდათან მატულობს, ხოლო მზის შიდა ცენტრალურ ფენებში კი ტემპერატურა რამდენიმე მილიონ გრადუსსაც აღწევს.

მზე, თავისი დიდი ტემპერატურის შესაბამისად, სამყაროს სივრცეში უხვად აფრქვევს სითბოსა და სინათლეს. აქედან დედამიწა, შედარებით, ცოტა აჩილი ხვდება.

მზე ჩვენთვის ცნობილ სინათლის ყველა წყაროზე უძლიერესია. სასეე მთავრისთან



მზის ფოტოგრაფიული სურათი

შედარებით მზე დაახლოებით 500.000-ჯერ უფრო კამეაზია.

მზის სხივს უდიდესი სისწრაფე აქვს. იგი წამში 300 ათას კილომეტრს გადის და დედამიწაზე მოღწევას მ წუთსა და 18 წამს ანდომებს.

მზის სხივი აწვდის დედამიწის სითბოსა და სინათლეს. იგი არის ენერჯის წყარო ყველა იმ მოვლენისა, რომელთაც ადგილი აქვს

დედამიწის ზედაპირზე და მის ატმოსფეროში. მაგალითად, მდინარეები, — ეს არის მზის სხივის მოქმედების შედეგი. მზის სხივი ათბობს ზღვებსა და ტბებს, წყლის ორთქლი ადის ჰაერში, ჩნდება ღრუბლები, საიდანაც მოდის წვიმა და თოვლი, — და წარმოიშვებიან მდინარეები. მზის სხივები ჰაერს დედამიწის სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ხარისხით ათბობს, ამის შედეგად ჰაერი მოძრაობაში მოდის და წარმოიშვება სხვადასხვა სიმძლავრის ქარი. აღმიაზნა, მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლე, მათი ზრდა-განვითარება მზის სხივური ენერჯის ხარჯვა-გამოყენებაზეა დამყარებული.

მზის სინათლისა და სითბოს გარეშე მცენარეებს არ შეუძლიათ ორგანულ ნივთიერებათა შექმნა. მცენარის ყოველი ორგანული ნივთიერება შეიცავს მზის ფარულ სხივებს, ანუ, როგორც იტყვიან, მზის ფარულ ენერჯიას. დიდი რუსი მეცნიერი კ. ა. ტ-მირიაზევი საქმელს მზის სხივების კონსერვს უწოდებდა. როცა ადამიანისა თუ ცხოველის ორგანიზმი საქმელს იყენებს, საქმლისაგან გამოყოფილი მზის ენერჯია იხარჯება სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად, ენერჯის ნაწილი კი რჩება სხეულის ორგანულ ნივთიერებაში.

მზის ენერჯია ხელს უწყობს როგორც მცენარის ისე ადამიანისა და ცხოველის ზრდა-განვითარებას, მათ სიცოცხლეს.

ამიტომ უწოდებენ მზეს სიცოცხლის წყაროს.

**ბ. ბეთინაილი**

## მზისა და მთვარის დაბნელება 1950 წელს

2 აპრილს საბჭოთა კავშირში (გარდა უკიდურეს აღმოსავლეთი ნაწილებისა) ვიხილეთ მთვარის სრულ დაბნელებას. მთვარე დედამიწის ჩრდილში შვეა 22 საათსა და 09 წუთზე; სრული დაბნელება დაიწყო 23 საათსა და 29 წუთზე; სრული დაბნელება დასრულდება 23 საათსა და 59 წუთზე; მთვარე დედამიწის ჩრდილიდან გამოვა 1 საათსა და 19 წუთზე (3 აპრილს) მოსკოვის დეკრეტული დროით.

12 სექტემბერს მოხდება მზის სრული დაბნელება, რომელსაც დავინახავთ საბჭოთა კავშირის არქტიკაში და აზიის უკიდურეს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მზის ნაწილობრივი დაბნელება ხილული იქნება საბჭოთა კავშირის აზიური ნაწილის

მთელ ტერიტორიაზე (გარდა სამხრეთ-დასავლეთისა) და ევროპული ნაწილის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე.

26 სექტემბერს მოხდება მთვარის სრული დაბნელება, რომელიც დაინახება გათენებინას საბჭოთა კავშირის დასავლეთ ნაწილში. მთვარის შესვლა დედამიწის ჩრდილში დაიწყება 5 საათსა და 31 წუთზე; სრული დაბნელება მოხდება 6 საათსა და 54 წუთზე; სრული დაბნელება დამთავრდება 7 საათსა და 39 წუთზე; მთვარის გამოსვლა დედამიწის ჩრდილიდან დაიწყება 9 საათსა და 02 წუთზე მოსკოვის დეკრეტული დროით.



# ჩვენნი ფრინველნი მეგობრები

ბევრი ფრინველი ადამიანის მეგობარია. სწორედ ამიტომაც რომ მოსწავლეები ყოველწლიურად გაზაფხულზე ატარებენ ევროპულად მოწოდებულ „ფრინველის დღეს“. ამ დღის მნიშვნელობაა გააცნოს მოსახლეობას და პირველ რიგში, მოსწავლეებს, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს ფრინველს ადამიანისათვის, მინდვრებისა და ტყის დასაცავად მავნე მწერებისა და თავგებისაგან. „ფრინველის დღისათვის“ მოსამზადებლად ათასობით მოსწავლეები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში აკეთებენ ხელოვნურ ბუდეებს ჩიტებისათვის, მინდვრად, ხეებზე, ბაღებში ჰკიდებენ სპეციალურ ყუთებს, ბუდეებს, რომ რაც შეიძლება მოაწვდოდ დაიბუდეონ ჩვენს ახლომახლო მინდვრის ფრინველებს.

რა თქმა უნდა, ამ საქმისათვის არ კმარა მარტო ერთი — „ფრინველის დღე“, საჭიროა ფრინველებზე მუდამ ვიზრუნოთ. შეიძლება მათი ბუდეები, ხელი არ ახლოთ ფრინველთა კვერცხებს, არ დაიპიროთ, არ დასოცოთ ბარტყებს. დაანგრეთ ფრინველის ბუდე, მოჰკლა ბარტყი, — ეს იმას ნიშნავს, რომ ცოცხლად დატოვო ათასობით მინდვრის მავნებელი.

ფრინველთა მოზიდვით, მათი გამრავლებისათვის ზრუნვითა და მოვლით თქვენ ხელს შეუწყობთ მოსავლიანობის გადიდებას.

მგალობელ ფრინველთა დიდი ნაწილი მწერებით იკვებება, ამიტვე ჰკვებავენ ისინი თავიანთ ბარტყებს. ასეთი ფრინველებია: მერცხლები, ბოლოცეცხლები, ბუზიჭერაები, ყარანები, შოშბები და მრავალი სხვა. ერთი წყვილი შოშბი ბარტყების გამოკვების პე-


რიოდში 7.500-ზე მეტ მისის ხოჭოსა და მათ მატლებს სპობს. მისის ხოჭო კი დიდ ზიანს აყენებს მცენარეებს. უფრო მსხვილი ფრინველებიანა, მაგალითად მდინარის თოლენი ადრე გაზაფხულზე, მინდვრად იკვებებიან თავგებითა და მწერებით. ბუდეები, ძერა-ბოტები და წერილი შევარდნები სპობენ თავგებსა და თრიებს. თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვთ ამთ აღნიშნულ ფრინველებს, სჩანს შემდეგიდან: ერთი მინდვრის თავი წელიწადში ორ-სამ, ხოლო ერთი თრია 16 კილოგრამამდე რჩეულ ხორბალსა სჭამს. ადელი წარმოსადაგენია, როგორ ზიანს მიყენებს ჩვენს სოფლის მეურნეობას ამ მავნებლების ძილიანობიანი არიბი, რომ მათ წინააღმდეგ ლაშქრობაში არ გვეხმარებოდეს აგრეთვე ჩვენი ფრთოსანი მეგობრებიც. არის ბუს ერთი სახეობა, რომელიც თვეში 85-დან 128-მდე თავებსა სჭამს, ხოლო ბარტყების გამოკვების პერიოდში 180-მდე თრიასა და 90 თავებს. ამიტომ მინდვრებში ბუდების მოსაზიდავად კარგია მოვეუწყოთ მათ „დასაჯდომები“ 3-4 მეტრი სიმაღლის ხარისები. მასზე ისვენებენ ჩვენი მეგობარი ფრინველები და აუედან უთვალთვალენ მსხვერპლს. გაზაფხულის ერთ დღეში, ხვნის დროს, ყორანი ანადგურებს 400-მდე მატლს — შექარს ქარხლის ამ უსაშიშრეს მტერს.

მეტად შრომისმოყვარენი არიან ფრინველნი ყველაზე დიდი სამუშაო დღე ფრინველისათვის ზაფხულშია — ბარტყების გამოზრდის პერიოდში. მშობლები დაუღალავად უზიდავენ თავიანთ პირმშობთ საყვეს. გაუმადლორი მზარდი ბარტყები დიდძალ



ა) შვი ნამგალი, ბ) ქაოქის მერცხა, გ) სოფლის მერცხალი.

საკვებს მოითხოვენ. ბოლოცეცხლა დღეში 479-ჯერ მოიფრენს ხოლმე თავისი ბარტყების ბუდედსთან ქაშკაშით. ხოლო ქალაქის მერცხლა 295-ჯერ, შოშიას ბარტყების გამოსაკვებად დღეში 75 კილომეტრის გაფრენა უხდება. წიწკანას — 100 კილომეტრისა.



ხელოვნური ბუდეები ფრინველებისათვის

ხოლო შესანიშნავი მოფრენალი—ლაქვარდის ნამგალა დღეში ფარავს 1.000 კილომეტრს, ე. ი. იმდენ მანძილს, რაც მოსკოვსა და ოდესას შორისაა. გასაოცარი საფრენოსნო უნარი აქვთ საერთოდ ფრინველებს. მაგალითად ჩვენს მერცხალს, რათა იგი გვეწვიოს სამხრეთ აფრიკიდან, სადაც ზამთრობის ხოლმე,—12 ათასი კილომეტრის გაფრენა უხდება. ასეთ დაკვირვებაში ჩვენს ფრინველმცოდნეებს ხელს უწყობს ევრეთწოდებული რგოლური მეთოდი, — ფრინველს ფეხზე უყვებენ ალუმინის პატარა, მსუბუქ რგოლს სათახადო წარწერებით. ეს ერთგვარ პასპორტს წარმოადგენს, რომელზედაც სწერია ფრინველის მოკლე ვინაობა, რგოლის შეშვის დრო და ადგილი. როცა რგოლიანი ფრინველი ზელთ გვევარდება, ირკვევა ბევრი რამ საინტერესო ამ ფრინველის შესახებ. სწორედ ასეთი რგოლების მეშვეობით გახდა ცნობილი, თუ სად ზამთრობენ ფრინველები, რომელი ქვეყნიდან მოფრინდებიან ხოლმე, რამდენი ხნის გამძლეობდა აქეთ და სხვ. (გამორკვეულია, რომ ტიროლა 13 წელიწადს ცხოვრობს, ბელურა — 14, გუგული — 24, მტრედი—35, თუთიყუში და შევარდენი — 100, ორბი 118 წელიწადს და სხვ.). რგოლის მეშვეობითვე გამოირკვა, რომ მონადირე შევარდენს დღელამეში 1.700 კილომეტრი გაუფრენია, ფოსტალიონმა მტრედმა „ვალაია-



შოშია

ტორმა“ ერთ დღეში გაიფრინა 500 კილომეტრი, ტულუზიდან ვერსალამდე (ქალაქები საფრანგეთში). ფრინველთაგან ერთნი (იხვები, მერცხლები, წეროები) გუნდ-გუნდად აწყობენ გადაფრენას, მეორენი (გუგული, მტაცებლები)—ცალ-ცალკე. სხვადასხვა ფრინველებს გადაფრენის სხვადასხვა წესი აქვთ. წეროები ფრენენ კუთხისებურად, ბატები—თოყისებურად, შოშიები—ჯგუფებად და სხვ. ზოგიერთი ფრინველი მოგზაურობენ მხოლოდ დღისით, მაგრამ უმრავლესობა ღამითაც ფრენს.

გადაფრენების შესანიშნავი თავისებურება ისაა, რომ ფრინველთა ყოველი წყვილი და გუნდი შორეული ზამთრობიდან გაზაფხულზე უბრუნდება სწორედ იმ ადგილებს, სადაც ისინი ბუდობდნენ, სადაც მათ იბარტყენ.

რგოლების მეშვეობით ცნობილი გახდა ფრინველთა ყოველწლიური დაბრუნება აუცილებლად თავიანთ ძველ ბუდეებში. ეს მოწმობს ფრინველთა შესანიშნავ უნარს — გაიგონ გზა თავიანთი შორეული მოგზაურობის დროს. გაცეცხას იწვევს მათი ღამით ფრენის უნარი, ავრთვე უნარი იმ ნორჩი ფრინველებისა, რომლებიც პირველად და ისიც მოზრდილებისაგან განმარტობით ასრულებენ თავიანთ შორეულ მოგზაურობას.

იმ საკითხებში, თუ როგორ იცვლებენ გზას ფრინველები, ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოუცნობელია.

შრომისმოყვარე, დიდი გამოძლეობის მქონე მრავალი ჩვენი ფრთოსანი მეგობარი გვეხმარება მინდვრის მანებელთა მოსაზობაში, და მამსადამე მოსავლიანობის გადაღებაში.

ხელი შეუწყეთ ფრინველებს!



ბუ

# ვიეტნამი — სამხრეთის ქვეყანა



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი ცვლილებები განიცადა კაპიტალისტურმა მსოფლიომ. დამარცხების შედეგად წყობილებიდან გამოვიდნენ აგრესიული ქვეყნები: ზერმანია, იტალია და იაპონია. ამასთანავე ევროპასა და აზიაში აღმოცენდა მთელი რაზმი ახალი ტიპის დემოკრატიული ქვეყნები, რომლებმაც თავი დააღწიეს კაპიტალიზმის ბანაკს და დემოკრატიის ბანაკში გამოვიდნენ. ასეთებია ევროპაში: ალბანეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია; მათი საერთო ფართობი 927.000 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა — 93 მილიონს შეადგენს; აზიაში — დემოკრატიული ქვეყნებია ჩრდილო კორეა, ჩინეთი და ვიეტნამი (9.950.000 კვადრატული კილომეტრი ფართობი, მოსახლეობა — 511 მილიონი). თუ ამ სახელმწიფოთა რიცხვს მივუმატებთ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას და საბჭოთა კავშირს, მაშინ დემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოთა რიცხვი 12-ს აღწევს, რომლის საერთო ფართობია 34,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი, ხოლო მოსახლეობა 800 მილიონზე მეტი.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, მონღოლეთისა და ჩრდილო კორეის სახალხო რესპუბლიკები სოციალისტური განვითარების ზოთ მიდიან, ჩინეთი კი მხოლოდ გასული წლის პირველ ოქტომბერს გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად და საომარი მოქმედებანი გომინდანის რეჟიმულ ჯარებთან მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო (საომარი მოქმედება გრძელდება მხოლოდ ტიბეტსა და კუნძულ ფორმოსაზე). გრძელდება აგრეთვე ვიეტნამელი ხალხის გამართული ბრძოლა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

•••

დემოკრატიული რესპუბლიკა ვიეტნამი, „ახლ სამხრეთის ქვეყანა“, მდებარეობს ინ-

დოჩინეთის ნახევარკუნძულზე და შეიქცა საფრანგეთის ყოფილი კოლონიის — ინდოჩინეთის სამ პროვინციას — ტონკინს, ანამსა და კობინხინს. ვიეტნამის ტერიტორია უდრის 350 ათას კვადრატულ კილომეტრს, მისი მოსახლეობა 26 მილიონზე მეტია.

რესპუბლიკა შეიქმნა 1945 წლის აგვისტოში, როდესაც განადგურებული იქნენ ააო-ნილი ოკუპანტები და იმავე წლის 2 სექტემბერს გამოცხადდა ვიეტნამის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ერთდროულად იწყება ინგლის-ამერიკელთა და საფრანგეთის ჯარების საომარი მოქმედებანი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

მთელი ვიეტნამელი ხალხი აღსდგა კოლონიზატორთა წინააღმდეგ და უკვე მესხუთე წელია, რაც გრძელდება ბრძოლა დემოკრატიული ვიეტნამისა და ინგლის-ამერიკელთა იარაღით აღჭურვილ საფრანგეთის იარაღს შორის. მთელი ხალხი მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიულ მთავრობასა და მის ხელმძღვანელ კომუნისტს ხო-ში-მინს. მთავრობამ ჩაატარა მთელი რიგი დემოკრატიული სახის გრადამენები: ვიეტნამში შემოღებულია დემოკრატიული კონსტიტუცია, შექმნილია ხელისუფლების ორგანოები სახალხო კომიტეტების სახით, შემოღებულია საჯაროებულო და საყოველთაო სწავლა-განათლება, 40 საათიანი სამუშაო კვირა, ნაციონალიზებულია სამხედრო საწარმოები, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება.


საფრანგეთის მთავრობამ ფრანგ კოლონიზატორთა მიერ ვიეტნამის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნა მარიონეტული მთავრობა ანამის ყოფილი იმპერატორის ბო-დაის მეთაურობით, რომელიც ერთი მუჟა მემამულეებისა და ფრანგ დამპყრობლების ინტერესების გამოხატველია და რო-

\* მარიონეტული — ტიპისისებური, უთვისებო, სხვისი ნება-სურვილით მოქმედა.

• აგრესიული — ომის წამოწყებო, თავდასხმული.








## ს ვ ღ ე ბ ი \*

ერთ უჯრედიან მეორეზე ფიგურის გადაყენას სულა ეწოდება. ჰალრაკის თამაშში, როგორც ვიცით, ექვსი სხვადასხვა გეარის ფიგურაა ყოველ მათგანს თავისი, განსხვავებული სელები აქვს. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე:

### ტურა




ტურა დადის ზოლებზე — პირისონტალებსა ან ვერტიკალებზე, ერთს ან რამდენიმე უჯრედზე ერთ-ბაშად, თუ კი მის გზაზე არ დგას ფიგურა. ტურა ვერ გადაატება რომელიმე ფიგურას. თუ ტურის გზაზე დგას მოწინააღმდეგის ფიგურა, მაშინ მას შეუძლია მისი ააღება. ეს ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგის ფიგურას მათამაშე იღებს დაიფიან და ტურას დგამს აუღმული ფიგურის ადგილზე.

### ქუ

ქუ დადის ირიბად ან დიაგონალებზე ერთ ან რამდენიმე უჯრედზე ერთბაშად — თუ მის გზაზე არ

არის რაიმე დაბრკოლება (თუ არა დგას ფიგურა), მას ისევე, როგორც ტურას არ შეუძლია მის გზაზე მდგარ რომელიმე ფიგურაზე გადახტომა; მაგრამ თუ მის გზაზე დგას მოწინააღმდეგის ფიგურა, მას შეუძლია მისი აღება, აღებული ფიგურის დაკავებით. ქუს მიერ უჯრედთა სხვადასხვა რაოდენობის დაკავება და მოკიდებულა მისი მღებარეობისაგან. აქ მოყვანილ დიაგრამაზე თვითუჯრედოვანი ქუ ფელობს 11




უჯრედს (მის მიერ დაკავებულ უჯრედის ჩათვლით) ზოლო ქუ, რომელიც შეე უჯრედზე დგას (შავუჯრედიანი ქუ) ფელობს 15 უჯრედს.

### ლაზიერი

ლაზიერი აერთებს ქუსა და ტურის სელებს, ე. ი. ლაზიერს შეუძლია იაროს იმ დიაგონალებზე, ვერტიკალებსა და პირისონტალებზე, რამდენიც გადიან

მას შიგერ დაკავებულ უჯრედოდაც, როგორც ეს უკა-  
ნასკელ დიაგრამებზეა ნაჩვენები.

### რამდენი მარილია ზღვებში



(გაგრძელება იქნება)

**პ. შერაღიძე.**  
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ყვე-  
ლა ზღვა და ოკეანე შეიცავს 15 ბილიონ  
ტონა მარილს. ძნელია ამ ციფრის წარმოდ-  
გენაც კი. მარილის ამ რაოდენობით დაიფა-  
რებოდა, მაგალითად, იმდენი ტერიტორია,  
რამდენიც მთელს ევროპას უჭირავს, —  
და ისიც ისე, რომ მარილის მოლიანი მია-  
სის სიმაღლე ორნახევარ მეტრს მიაღწევდა.  
ბოლო თუ შოვინდომებდით ამ მარილის გა-  
ლაზიდვას რკინიგზის ტრანსპორტით, მაშინ  
ამ საქმისათვის იმდენი მატარებელი დაგვ-  
ჭირდებოდა, რომელთა შემადგენლობა თავი-  
სი სიგრძით 140-ჯერ შემოერთებოდა დედა-  
მიწას.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ზანდუარაშვილი — პირველი დეპუტატი — (ლექსი) გარეკანის . . . . .	მე-2
ა. სულაკაური — დობილება (ლექსი) . . . . .	2
<b>ლ. ზმარის სიტყვიდან აგომარჩხველთა წინასწარჩვენო კამბაჯი</b> . . . . .	3
დ. ხუროცი — შინაწას სიზმარი — (ლექსი) . . . . .	4
ქ. კალაძე — მეთერთმეტეკლასელები (ლექსი) . . . . .	5
ცყვიტი — ზურაბის სინანული (მოთხრობა) . . . . .	6
ქ. ბოზოხიძე — დედა (ლექსი) . . . . .	11
ქ. ლოლაძე — უფროსი პიონერხელმძღვანელი (ნარკვევი) . . . . .	12
წ. რატინიშვილი — ძველი კაპიკაინის თავგადა- საეალი (მოთხრობა) . . . . .	14
ქ. ქვარცხავა — პირველი ქართული მფრინავი (ნარკვევი) . . . . .	17

მ. აკობია — მწვეწმის ამბავი (მოთხ) . . . . .	20
ს. სხირტლაძე — დანიელ ჭუნჭაძე (წერილი) . . . . .	23
ბ. ბიანიშვილი — მზე (ნარკვევი) . . . . .	25
მ. დემეტრაძე — ჩვენი ფროსიანი შეგობრები (ნარკვევი) . . . . .	27
გ. ზარდალიშვილი — ვიეტნამი — „სამხრეთის ქვეყანა“ . . . . .	29
ა. ებრაძიძე — ჭადრაკის კუთხე . . . . .	31
გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა „დეპუ- ტატი ქალი ოჯახში“ — შესრულებულია მხატვარ რ. სტურუას მიერ. გარეკანის მესამე და მეოთხე გვერდზე — გრ. კო- კლავის მუსიკა — „სტალინს“ (ა. თევზაძის ლექსზე დაწერილი)	

### პასუხისმგებელი რედაქტორი მ. კახიანიძე

### პასუხისმგებელი მდივანი ვ. თორდუა

სარედაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი,  
გ. თავაზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, თ. ნემსაძე, წ. შენგელია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

ს ღ ლ ნ ა ჟ ა ჟ მ ი ა ვ დ ო ბ ო ს ა ბ უ მ ბ ო რ დ ე ზ ო ბ

უმ 01499 ტირაჟი 7000 გამოცემლობის წევრ. № 32 სტამბის წევრ. № 338  
ლ. ა. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „ლომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.  
ფურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ხარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

# განსჯა და სხლი

მოსკოვში, საღვთო-კულტურის მინისტრის ქუჩაზე არის ეს საკვირველი სახლი. მის გუმბათიან-სახურაგს ქვეშ დღით ყოველთვის შეგიძლიათ ნახოთ ვარსკვლავებით მოჭედითი ცა; შეგიძლიათ დაუყვირდეთ როგორ ამოდის და ჩადის მზე, ან უტყვე მთქმელთა დედამიწის სამხრეთ ნახევარ სფეროში დამით დაბნელებულ ცის ქვეშ და იხილოთ უცნობი თანავარსკვლავედები; შეგიძლიათ დააყვირდეთ როგორ გადაბრბიან და ეცემიან მიწაზე მეტეორიტები.

ყოველივე ეს საკვირველები ჩნდება რთული პროექციული აპარატის საშუალებით. ამ აპარატს, როგორც იმ სახლს, რომელშიც ის არის მოთავსებული, ეწოდება პლანეტარია. ეს აპარატი შესდგება ორი დიდი შავი სფეროსაგან. სფეროები ერთმანეთთან შეერთებულია ლითონის ღერძებით და დამგრებულია სპეციალურ სადგარზე. თითოეულ სფეროს შიგნით მოთავსებულია

16 პროექციული ნათურა. დიაზოზიტების ნაცულათ მათში ჩადგმულია ლითონის ფირფიტები.

სინათლის სხივები, უწვრილესი ყელით ფირფიტების ნაწერტებში გავლილი, აჩენს პლანეტარიის შეზნეულ ტილოს ეკრანზე აუარებელ ნათელ წერტილებს და ქმნის ვარსკვლავებით მოჭედითი ცის ნამდვილ სურათს. ეკრანზე ვარსკვლავები ციმციმებენ კიდევ როგორც ნამდვილი ვარსკვლავები ცაზე.

ყოველ სეანს პლანეტარიაში თან ახლავს ლექცია. ლექციები ეხებიან სამყაროს აგებულების საკითხს, კუდიან ვარსკვლავებ-კომეტებს, არსებობს თუ არა სიცოცხლე სხვა პლანეტებზე და სხვა...

მოსკოვის პლანეტარიაში ბევრი გაუწია დიდი სამსახური, რომ განათვისუფლებულიყო სასაცილო და მავნებელ რუმენისაგან — ღმერთისა და სასწაულების რუმენისაგან.

ბ. მიხაინი



## ს ტ ა ლ ი ნ ს !

ღიღება მას, ვინც პატარას  
გიმღეროდა ნანას ტკბილად;  
ერთმა დედამ გშობა, მაგრამ  
ყველა დედას ყავხარ შვილად.


კავკასიის მყინვარები  
გაწოვებდა ძუძუს რძიანს  
და აკვანი მთის კალთებზე  
ქარიშხალმა დაგირწია.

რა ძალა ხარ, რა ფოლადი,  
რა ვეჯაკი, რა დიადი,  
შენ შეგვიქმენ გზაფუხული  
და ნათელი განთიადი!

მზე გველვშაპს გამოსტაცე,  
ხალხს სამშობლო დაუბრუნე,  
ჯულაშვილი დედამ გშობა,  
და სტალინი — საუკუნემ.

ანდრო თაყვაძე

ბეჭეტი მუხიკიხათვის. ნოტი იხილე გარეკანს 4-ე გვერდზე.



# ს ტ ა ლ ი ნ ს !

ტექსტი ანდრო თევზაძისა

საბავშვო სიმღერა

მუსიკა მარიგოლ კოკალაძისა

ზომიერად

დამწყები

მღ - დე - ბა - მას,

ვისე ბა - ტა - რას ვი - მღე - რო და ნა - ნას ტყვი - ლად

ერ - თმა დე - დამ გზობა, მაგ - რამ ყვე - ჯა დე - დას ყავ - ხარ შვი - ჯად

მუნდი

მღ - დამ დე - დამ გზობა მაგ - რამ ყვე - ჯა დე - დას ყავ - ხარ შვი - ჯად.

ტექსტი მუსიკოსთაგან ინილივი გარეჯანის 3-ე გვერდზე.